

შპს „TWINO“-ს

წლიური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიშთან ერთად

2017 ფინანსური წლის 31 დეკემბერის ჩათვლით

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში.....6

ფინანსური ანგარიშები

სრული საშემოსავლო ანგარიში.....6

ფინანსური სტატუსის ანგარიში.....7

კაპიტალის ცვლილების ანგარიში.....8

ფულადი ბრუნვას ანგარიში.....9

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

1. ზოგადი

ინფორმაცია.....10

2. მომზადების საფუძველი.....10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე აღწერილობა.....14

4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასება და განხილვა.....20

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები.....20

6. წმინდა ფინანსური შემოსავალი ცვეთამდე.....21

7. თავისუფალი შემოსავალი სესხის მართვაზე.....21

8. წმინდა ნამატი ჩამოწერილი სესხების ლიკვიდაციიდან.....21

9. უცხოური ვალუტის ნამატი/(დანაკარგი), სუფთა.....21

10. სხვა შემოსავალი, სუფთა.....22

11. საოპერაციო ხარჯები.....22

12. წინასწარ გადახდილი ქირის ჩამოწერა.....22

13. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები.....23

14. კლიენტების სესხები.....23

15. დედობილ კომპანიაზე გადაცემული სესხები.....24

16. სხვა აქტივები.....25

17. ქონება და მოწყობილობები.....25

18. გადასახადები.....26

19. კრედიტები.....26

20. სხვა ვალდებულებები.....26

21. პასუხისმგებლობა და გაუთვალისწინებელი ხარჯები.....27

22. ფინანსური ინსტრუმენტები, რისკის მენეჯმენტი.....27

23. კაპიტალის მენეჯმენტი.....30

24. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები.....31

25. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....32

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში

შპს „Twino“-ს მეწილეებისა და მენეჯმენტისთვის

მოსაზრება (დასკვნა)

ჩვენ განვახორციელეთ შპს „Twino“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ასახავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მთლიან შემოსავალს, ცვლილებებს კაპიტალში და ფულად არხებში (დასრულებული წლისთვის), ასევე, ფინანსურ ანგარიშთა განმარტებებს, მათ შორის, მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანმხლები ფინანსური ანგარიშგება ყველა თვალსაზრისით წარმოადგენს კომპანიის ნამდვილ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იგი, ასევე, ასახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობას, მის ფულად ბრუნვას წლის დასასრულისთვის, რაც შეესაბამება „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს“ (IFRS).

მოსაზრების (დასკვნის) საფუძველი

ჩვენ აუდიტი განვახორციელეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტების ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობები შემდგომში აღწერილია ჩვენი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებთ კომპანიისგან დამოუკიდებლად, რაც შეესაბამება „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს“ (IESBA Code) მოთხოვნებს, ასევე, ეთიკის იმ მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ჩვენს მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე საქართველოში. ჩვენ, ასევე, შევასრულეთ, სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად.

დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და წარმოადგენს შესაბამის საფუძველს ჩვენი დასკვნისთვის.

მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაურკვევლობა

ფინანსურ ანგარიშებში ჩვენ ყურადღება მივაქცევთ განმარტება 2-ს, სადაც აღნიშნულია, რომ კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 15 604 ლარი წლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს. ამ თარიღისთვის, კომპანიას ჰქონდა 17 706 ლარის უარყოფითი ბალანსი აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. როგორც განმარტება 2-შია აღნიშნული, ეს გარემოებები ან პირობები მიუთითებენ, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი დარჩეს მოქმედ საწარმოდ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეცვლილა.

აუდიტორული დასკვნის განმარტებითი პარაგრაფი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ, ასევე, განვახორციელეთ განმარტება 5-ში აღწერილი რეკლასიფიკაციის აუდიტი. ეს რეკლასიფიკაციები გამოყენებულ იქნა 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესასწორებლად, რომელთა აუდიტიც განახორციელა სხვა აუდიტორმა და მათ წარმოადგინეს უპირობოდ დადებითი დასკვნა ამ ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით. ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა კომპანიის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში, განხილვაში და რაიმე პროცედურულ კომპონენტში, გარდა რეკლასიფიკაციისა. შესაბამისად, ჩვენ არ ვაფიქსირებთ ჩვენს მოსაზრებას ან სხვა რაიმე ფორმის შეხედულებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნას არ წარმოვადგენთ.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშებზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და მიუკერძოებელ წარდგენაზე IFRS მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, ისეთი შიდა კონტროლზე, რომელსაც მენეჯმენტი მიიჩნევს საჭიროდ ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად. ეს ფინანსური ანგარიშგება არ უნდა შეიცავდეს არსებითად დამახინჯებულ ინფორმაციას, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ.

ფინანსური ანგარიშების მომზადების დროს, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უნარი დარჩეს მოქმედ საწარმოდ და გამოაშვარაოს საკითხები, რომლებიც უკავშირდება მოქმედ საწარმოს და გამოიყენოს მოქმედი საწარმოს საბუღალტრო ბაზა თუ მენეჯმენტი არ დააპირებს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა, ან არ აქვს სხვა რეალური ალტერნატიული გზა გარდა ხსენებული ნაბიჯებისა.

ძალაუფლების მქონე პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული მტკიცებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს განზრახ თუ უნებლიედ დამახინჯებულ ინფორმაციას, ასევე, გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც წარმოადგენს ჩვენს პოზიციას. გონივრული მტკიცებულება წარმოადგენს მაღალი დონის საბუთს, მაგრამ ის არ არის გარანტია, რომ ISA-ს სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითად მცდარ ინფორმაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არასწორი ინფორმაცია შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და ის განიხილება არსებითად მცდარ ინფორმაციად, ინდივიდუალურად თუ ერთობლივად, მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა მიერ ამ ფინანსური ანგარიშების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISA-ს მოთხოვნების თანახმად, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ შეფასებას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის განხორციელების დროს. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგებაში არსებული განზრახ თუ უნებლიედ დამახინჯებული ინფორმაციის იდენტიფიცირებას და შეფასებას, ვაპროექტებთ და ვასრულებთ ამ რისკების შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომლებიც საკმარისია და შესაბამისია ჩვენი დასკვნის მოსამზადებლად. რისკისა იმისა, რომ გაყალბებით გამოწვეული არსებითად მცდარი ინფორმაცია ვერ იქნეს გამოვლენილი უფრო მაღალია, ვიდრე უნებლიე შეცდომით გამოწვეული არსებითად მცდარი ინფორმაციის ვერგამოვლენის რისკი, რადგან გაყალბება, შეიძლება გულისხმობდეს გარიგებას, ფალსიფიცირებას, მიზანმიმართულად გამოტოვებულ დეტალებს, არასწორ ინტერპრეტაციებს ან სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადამეტებას.
- აუდიტთან დაკავშირებული შიდა კონტროლის გააზრება გარემოებებისთვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურების პროექტირების მიზნით, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისობის და მენეჯმენტის მიერ შესრულებული საბუღალტრო აღრიცხვის გონივრულობის და მასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეფასება.
- მენეჯმენტის მიერ ბუღალტერიის მოქმედი საწარმოს ბაზისის გამოყენების შესაბამისობაზე დასკვნის მომზადება. ასევე, მოპოვებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე, მან უნდა მოამზადოს დასკვნა არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომელთაც შეიძლება ექვეყნებოდა დააყენონ კომპანიის უნარი

გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობები, ჩვენ აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში არსებულ დაკავშირებულ სამხილებს, ან, თუ ასეთი სამხილები არაადეკვატურია, შევცვალოთ და შევასწოროთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორული ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა ან პირობებმა შეიძლება აიძულოს კომპანია შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- საერთო პრეზენტაციის შეფასება, ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა და შინაარსი წარმოადგენს საბაზისო ოპერაციას სრულფასოვანი პრეზენტაციის მისაღწევად.
- მოვიპოვოთ საკმარისი შესაბამისი სააუდიტო მტკიცებულება კომპანიების ფინანსურ ინფორმაციასთან ან კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მოსაზრების გამოსახატავად. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობაზე და შესრულებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია ძალაუფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის დაგეგმილ მიზნებთან და დროსთან, ასევე, მნიშვნელოვან აუდიტორულ მიგნებებთან დაკავშირებით, მათ შორის, აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ შიდა კონტროლში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვან ნაკლოვანებებთან დაკავშირებით.

ამ დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის მოსამზადებელ აუდიტზე პასუხისმგებელი აუდიტორული შემოწმების ხელმძღვანელი არის ივანე ჟუჟუნაშვილი.

ხელმოწერა

შპს BDO-ს სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 28 სექტემბერი

მოცულობითი შემოსავლის მდგომარეობა

2017 წლის 31 დეკემბრისათვის

(ათასობით ქართული ლარი)

	შენიშვნები	2017	2016
შემოსავალი	6	5,856	5,490
ხარჯები	6	(887)	(3,387)
წმინდა ფინანსური შემოსავალი		4,969	2,103
ცვეთამდე			
გაუფასურების			
შედეგად დამდგარი ზარალის უზრუნველყოფა	14	(18,097)	(10,524)
სუფთა ფინანსური ზარალი		(13,128)	(8,421)
სესხების მართვის	7	4,569	14,918
მოგების გადასახადი			
მოგება ჩამოწერილი სესხების			
გაყიდვიდან, წმინდა	8	379	20
უცხოური ვალუტა მოგება/(ზარალი),	9	1,363	(1,172)
წმინდა			
სხვა შემოსავალი, წმინდა	10	20	3
წმინდა არა-კომერციული შემოსავალი		6,331	13,769
სამეწარმეო შემოსავალი/(ზარალი)		(6,797)	5,348
საოპერაციო ხარჯები	11	(6,673)	(12,270)
ჩამოწერილი წინასწარ გადახდილი ქირა	12	(597)	-
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(14,067)	(6,922)
მოგების გადასახადის			
მოგება/(ხარჯები)	18	(1,537)	896
ჯამური საერთო ზარალი		(15,604)	(6,026)

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 28 სექტემბერს

დირექტორ

ხელმოწერილია

ბაჩანა პაპავას

ფინანსური მენეჯერის

ხელმოწერილია

მაია ციციშვილის მიერ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

(ათასობით ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	13	1,275	1,522
სამომხმარებლო სესხები	14	1,091	5,993
მშობელ კომპანიისადმი ვალები	15	-	5,943
სხვა აქტივები	16	1,813	1,460
ქონება და მოწყობილობები	17	617	958
არამატერიალური აქტივები		114	151
საგადასახადო აქტივები		588	545
ჩამოწერილი საგადასახადო აქტივი	18	-	1,537
აქტივები ჯამში		5,498	18,109
ვალდებულებები			
სესხები	19	503	16,292
სხვა ვალდებულებები	20	22,701	3,919
ვალდებულებები ჯამში		23,204	20,211
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		250	250
დაუფარავი ზარალი		(17,956)	(2,352)
ჯამური კაპიტალი		(17,706)	(2,102)
ვალდებულებები და კაპიტალი ჯამში		5,498	18,109

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

(ათასობით ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	ჯამი
2015 წლის 31 დეკემბერი	-	3,674	3,674
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	250	-	250
ჯამური მოცულობითი ზარალი წელიწადში	-	(6,026)	(6,026)
2016 წლის 31 დეკემბერი	250	(2,352)	(2,102)
ჯამური მოცულობითი დანაკარგი წელიწადში	-	(15,604)	(15,604)
2017 წლის 31 დეკემბერი	250	(17,956)	(17,706)

ფულადი ბრუნვას მდგომარეობა

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ბრუნვა საოპერაციო აქტივობებიდან:			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(14,067)	(6,922)
რეგულირება:			
სესხის ზარალის უზრუნველყოფა	14	18,097	10,524
ცვეთა და ამორტიზაცია	11	199	220
საპროცენტო დანარიცხების წმინდა სხვაობა	6	(4,969)	(2,103)
წმინდა ზარალი/(მოგება) უცხოურ გაცვლით			
ოპერაციებში	9	(1,363)	1,172
წმინდა ზარალი ჩამოწერილი არამატერიალური			
აქტივებზე		25	-
ქონების და მოწყობილობების განკარგვის			
წმინდა ზარალი	10	128	62
ფულადი ბრუნვა ტრანზაქციებიდან			
სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე		(1,950)	2,953
(გაზრდა)/შემცირება საოპერაციო აქტივების:			
სამომხმარებლო სესხები		(13,252)	(14,571)
მშობელი კომპანიის სესხები		6,652	7,019
სხვა აქტივები		(353)	(1,154)
საგადასახადო აქტივები		(98)	(180)
ოპერაციული ვალდებულებების ზრდა:			
სხვა ვალდებულებები		19,687	1,125
ფულადი ბრუნვას შემოძინება/(გასავალი) საოპერაციო			
აქტივობებიდან დაბეგვრამდე		10,686	(4,808)
მიღებული პროცენტი		5,913	5,606
გადახდილი პროცენტი		(529)	(3,756)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(1,870)
ნაღდი ფულის შეძინება/(გასავალი)			
ოპერაციული აქტივობებიდან		16,070	(4,828)
საინვესტიციო აქტივობებიდან ფულადი ბრუნვა:			
ქონებისა და მოწყობილობების შესყიდვა		(55)	(807)
აღჭურვილობისა და ქონების გაყიდვიდან მიღებული			
მოგება		9	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(71)
საინვესტიციო აქტივობებიდან წმინდა ფულადი			
ბრუნვის გასავალი		(46)	(878)
ფულადი ბრუნვა ფინანსური აქტივობებიდან:			
მოგება სესხებიდან		1,134	6,292
სესხის დაფარვა		(17,032)	(1,190)
ზრდა საწესდებო კაპიტალში		-	250
წმინდა ნაღდი ფულის შეძინება/(გასავალი) ფინანსური			
აქტივობებიდან		(15,898)	5,352
ნაღდი ფულის და ფულის ეკვივალენტის			
წმინდა ზრდა/(შემცირება)		126	(354)
ფულის მასა და ფულის ეკვივალენტები			
პერიოდის დასაწყისიდან		1,522	1,867
გაცვლითი კურსის ეფექტის ფლუქტუაციები			
ფულსა და მის ეკვივალენტებზე უცხოურ ვალუტებში		(373)	9
ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები წლის დასასრულს		1,275	1,522

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) კომპანია

შპს „ნეტ კრედიტი“ საქართველოში დარეგისტრირდა 2014 წლის 17 თებერვალს, რომემაც 2016 წლის 16 მარტს მას მიენიჭა ახალი სახელწოდება - შპს „Twino“ („კომპანია“).

2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 2016 წელს „კომპანიას“ სრულად ფლობდა შპს „SIA Twino“, რომელიც რეგისტრირებულია და მოქმედებს ლატვიის კანონმდებლობის თანახმად. მისი რეგისტრაცია განხორციელდა 2015 წლის აგვისტოში და რომლის სარეგისტრაციო ნომერია - 40103919184. რეგისტრაციის მისამართია: მუკუსალას ქუჩა 41, რიგა LV-1004, ლატვია.

კომპანია თავის კლიენტებს სთავაზობს ორ მთავარი პროდუქტს:

- ხელფასამდე სესხს - ერთ თვემდე ვადის მოკლევადიან სესხებს
- განვადების სესხებს - გრძელვადიან სესხებს

2015 წლის 5 აგვისტოს შემდეგ კომპანია კლიენტებზე გაცემულ ყველა სესხს მიაწერს (ყიდის) სათაო კომპანიას, რომელიც მორგებულია ფიზიკურ პირებს შორის სესხების პლატფორმას ევროპის კავშირში და აწვდის ფინანსურ სახსრებს „SIA Twino“-ს და მის შვილობილ კომპანიებს („ჯგუფი“). ამ მიწერილ სესხებს, რომლებიც ხდება ვადაგადაცდილებული, უკან გამოისყიდის კომპანია, 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული საკონტრაქტო ხელშეკრულების საფუძველზე, სესხის საბალანსო ღირებულებაზე დაბალ ფასად. სესხების მიწერა და ყველა დაკავშირებული ტრანზაქცია ხორციელდება OECD Transfer Pricing Guidelines-ის მიხედვით.

2016 წლის 31 დეკემბრისთვის და 2015 წელს „კომპანია“ სრულად კონტროლდება ერთი კერძო პირის მიერ - ბატონი არმანდს ბროკსის მიერ, რომელიც უფლებამოსილია წარმართოს კომპანიის და „ჯგუფის“ ტრანზაქციები თავისი შეხედულებისამებრ და თავის სასარგებლოდ.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: გიორგი გეგეჭკორის ქუჩა N4, თბილისი, საქართველო.

ბ) ცვლილებები ქართულ კანონმდებლობაში

2016 წლის 29 დეკემბერს ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელთა მიხედვით, სასესხო ტრანზაქციების მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წლიურ 100%-მდე შეიზღუდა.

2. მომზადების ბაზისი

შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების“ და „საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების და განმარტებების“ (ერთობლივად IFRS) საფუძველზე.

კომპანია ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშებს წარმოადგენს ეროვნულ ვალუტაში (ლარში), „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების“ (IFRS) შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიისთვის საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

ფინანსურ ანგარიშებში მითითებული თანხები მრგვალდება ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი. ფინანსური ანგარიშგების IFRS-სის შესაბამისად მომზადება საჭიროებს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასების გამოყენებას. ის ასევე საჭიროებს მართებულ მიდგომას „კომპანიის“ საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ადგილები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მიდგომები განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და მათი შედეგები გადმოცემულია განმარტება 4-ში.

ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შესყიდვის ფაქტობრივი ღირებულების საფუძველზე.

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

მოქმედი საწარმო

კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 15 604 ლარი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიის უარყოფითმა ბალანსმა შეადგინა 17 706 ლარი. ეს გარემოებები მიუთითებენ მნიშვნელოვანი გაურკვევლობის არსებობაზე, რაც ექვექცეშ აყენებს კომპანიის უნარს დარჩეს ქმედუნარიან საწარმოდ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქმედუნარიანი საწარმოს პრინციპებით, რადგან ჰოლდინგურმა კომპანიამ შეათანხმა, რომ განახორციელოს უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა საჭიროების შემთხვევაში და არ უკუიხმოს თანხები იმდაგვარად, რაც საფრთხეს შეუქმნის კომპანიის ლიკვიდობას და მომავალ ოპერაციებს.

ცვლილებები საბუღალტრო პოლიტიკაში

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან

გაითვალისწინეთ, რომ სტანდარტებში შესულმა ცვლილებებმა, რომლებიც ხსენებული თარიღიდანაა ძალაში, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებზე.

ბ) ახალი სტანდარტები, განმარტებები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში.

შემდეგი ახალი სტანდარტები, განმარტებები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და აქამდე არ შეუტანიათ ფინანსურ ანგარიშებში, იქონიებენ ან შეიძლება იქონიონ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IFRS 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.
- IFRS 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- IFRS 16 - იჯარები

IFRS 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. – 2014 წლის მაისში, IFRS 15 იქნა გამოშვებული, რომელიც ამკვიდრებს ერთადერთ ყოვლისმომცველ მოდელს, რომელიც კომპანიებმა უნდა გამოიყენონ კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების დათვლისას. IFRS 15 ჩაანაცვლებს შემოსავლების აღიარების მიმდინარე სახელმძღვანელოს, მათ შორის, „IAS 18 შემოსავლებს“, „IAS 11 სამშენებლო ხელშეკრულებებს“ და მათთან დაკავშირებულ განმარტებებს, როცა ისინი შევლენ ძალაში.

IFRS 15-ის ფუნდამენტური პრინციპი გახლავთ ის, რომ კომპანიამ უნდა აღიაროს შემოსავლები, რომ გამოსახოს დაპირებული საქონლის ან მომსახურებათა კლიენტისთვის მიწოდება იმ ღირებულებით, რომელიც ასახავს კომპანიის მოლოდინს ამ საქონლისა და სერვისების სანაცვლოდ. კონკრეტულად, სტანდარტი ადგენს ერთადერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელთა გამოყენებაც უნდა განხორციელდეს კლიენტთან დადებულ ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებით.

მოდელის ხუთი საფეხური შემდეგია:

- კლიენტთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება
- ხელშეკრულებაში შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირება
- ტრანზაქციის ღირებულების განსაზღვრა
- ხელშეკრულებაში ტრანზაქციის ღირებულების გამოყოფა შესრულების ვალდებულებებისთვის
- შემოსავლების აღიარება, როცა კომპანია აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას.

IFRS 15-ის მიხედვით, კომპანია აღიარებს შემოსავლებს, როცა შესრულების ვალდებულება კმაყოფილდება, ანუ, მაშინ, როცა საქონლისა და სერვისების მომსახურება, რომლებიც წარმოადგენს შესრულების საბაზისო ვალდებულებას, მიეწოდება კლიენტს. გაცილებით მეტი ნორმატიული მითითებები დაემატა ისეთ საკითხებს როგორებიცაა შემოსავლების აღიარება, გარდამავალი (ცვალებადი) გადახდების ბუღალტერია, ხელშეკრულების მოპოვების და შესრულების ხარჯები და სხვადასხვა დაკავშირებული საკითხები. ასევე, წარმოდგენილია ახალი ცნობები შემოსავლების შესახებ.

სტანდარტი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს, ადრე ნებადართული გამოყენებით. IFRS 15-თან მიმართებით გამოყენებულ შერჩეულ მიდგომაზე დაყრდნობით, გადასვლა შეიძლება მოიცავდეს ერთ ან ერთზე მეტ თარიღს თავდაპირველი გამოყენებისა სხვადასხვა მოთხოვნებისთვის.

1. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები. IFRS 9 გამოუშვეს 2009 წლის ნოემბერში და მან წარმოადგინა ახალი მოთხოვნები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და აღრიცხვისთვის. შემდგომში, IFRS 9 შესწორდა 2010 წლის ოქტომბერში და მასში შევიდა მოთხოვნები ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და აღრიცხვისთვის და დერეკოგნაციისთვის. 2013 წლის ნოემბერში შევიდა ახალი მოთხოვნები ძირითადი ჰეჯირების ბუღალტერიისთვის. 2014 წლის ივლისში IASB-მა გამოსცა IFRS 9-ის საბოლოო ვერსია, რომელმაც ძირითადად წარმოადგინა ფინანსური აქტივების გაუფასურების სტანდარტები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შეზღუდული შესწორებები და ფინანსური აქტივების აღრიცხვის მოთხოვნები. IFRS 9-ის მიზანია შეცვალოს IAS 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და აღრიცხვა.

IFRS 9-ის ძირითადი პარამეტრებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და აღრიცხვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ბიზნეს მოდელის გათვალისწინებით, რომელსაც ისინი ეკუთვნის და მათი საკონტრაქტო ფულადი ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით. კონკრეტულად, ვალის ინსტრუმენტები, რომლებიც ჩადებულია ბიზნეს მოდელში, რომელთა მიზანია შეკრიბოს საკონტრაქტო ფულადი ბრუნვები და რომელთაც აქვთ საკონტრაქტო ფულადი ბრუნვები, რომლებიც წარმოადგენენ პრინციპალის ერთპიროვნულ გადასახდელებს და პრინციპალის მიერ წარდგენილ საპროცენტო ინტერესს, რომელიც ძირითადად გამოთვლილია ამორტიზირებული ღირებულებაზე, საწყისი აღიარებიდან. IFRS 9-ის 2014 წლის ვერსია აწესებს ნაღდ ღირებულებას სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის კატეგორიის გზით ვალის ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც არსებობს ბიზნეს მოდელის შიგნით, რომლის მიზანაც მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ბრუნვების შეკრებით და ფინანსური აქტივების გაყიდვით, რომელთაც აქვთ ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც განსაზღვრულ თარიღებში ზრდიან ფულად დინებებს, რომლებიც მხოლოდ შედგება ძირითადი თანხის და ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტების გადახდით, რომლებიც იზომება რეალური ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის საშუალებით, თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ვალი და კაპიტალდაბანდები იზომება მათი რეალური ღირებულებით. დამატებით, IFRS 9-ის მიხედვით, კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ შეუვალი გადაწყვეტილება სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში სააქციო კაპიტალდაბანდების (რომლებიც არ გამოიყენება ვაჭრობისთვის) ნამდვილ ღირებულებაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ, მხოლოდ დივიდენდის შემოსავლებით, რომლებიც, უმთავრესად ითვლება როგორც მოგება ან ზარალი.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა.** ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია ხორციელდება იმავე სახით, IAS 39-ის შესაბამისად, მაგრამ არსებობს განსხვავებები იმ მოთხოვნებში, რომლებიც ვრცელდება კომპანიის საკრედიტო რისკის აღრიცხვაზე. IFRS 9 აწესებს, რომ ფინანსური ვალდებულების ნამდვილ ღირებულებაში განხორციელებული ცვლილების ოდენობა, რომელიც მიემართება ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებს, წარმოდგენილია სხვა საყოველთაო შემოსავალით, თუ OCI-ში ვალდებულების საკრედიტო რისკში განხორციელებული ცვლილებების გავლენის აღიარება არ შექმნიდა ან გაზრდიდა მოგების ან ზარალის საბუღალტრო შეუსაბამობას. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის ნამდვილ ღირებულებაში განხორციელებული ცვლილებები შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.
- **ჰეჯირების ბუღალტერია** - აწესებს ჰეჯირების ბუღალტერიის ახალი მოდელს, რომლის მიზანიცაა უფრო მჭიდროდ მოერგოს კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ რისკების მენეჯმენტს ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირების პროცესში. IFRS 9-ის მიხედვით, უფრო დიდი მოქნილობა წესდება ტრანზაქციების იმ ტიპებისთვის, რომლებიც შეესაბამება ჰეჯირების ბუღალტერიას, და განსაკუთრებით აფართოებს ინსტრუმენტების იმ ტიპს, რომლებიც აკმაყოფილებენ ჰეჯირების ინსტრუმენტების და არაფინანსური მუხლების რისკ კომპონენტების ტიპებს, რომლებიც შეესაბამება ჰეჯირების ბუღალტერიას. დამატებით, ეფექტურობის ტესტი იქნა შესწორებული და იგი შეიცვალა „ეკონომიკური ურთიერთობის“ პრინციპით. ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება მეტად აღარ არის საჭირო. ასევე, დაწესდა კომპანიის რისკების მენეჯმენტის შესახებ გაფართოებული ფინანსური ანგარიშის გასაჯაროების მოთხოვნები.
- **დერეკოგნაცია** - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დერეკოგნაციის მოთხოვნები გამომდინარეობს IAS 39-დან.

სტანდარტი ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, ნებადართული ადრეული გამოყენებით. გამოყენებით. IFRS 15-თან მიმართებით გამოყენებულ შერჩეულ მიდგომაზე დაყრდნობით, გადასვლა შეიძლება მოიცავდეს ერთ ან ერთზე მეტ თარიღს თავდაპირველი გამოყენებისა სხვადასხვა მოთხოვნებისთვის.

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

IFRS 16 იჯარა. 2016 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა IFRS 16. IFRS 16 აბათილებს IAS 17 იჯარას, IFRIC 4, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად მოიცავს ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - ლოგისტიკის და SIC-27 ტრანზაქციების არსის შეფასება იჯარის იურიდიული ფორმის ჩართვით.

მეიჯარის მიმართ არსებული ანგარიშგების მოთხოვნები უმეტესწილად შეუცვლელად გადავიდა IAS 17-დან. ეს ნიშნავს, რომ მეიჯარე განაგრძობს იჯარის საოპერაციო ან ფინანსურ კლასიფიცირებას. ძირითადი ცვლილებები ეხება მოიჯარეებს, IFRS 16-ით, სადაც მოცემულია ერთადერთი მოდელი მოიჯარეებისათვის, რომელიც გამოირჩევა განსხვავებას საოპერაციო და ფინანსურ იჯარებს შორის, და ასევე ფინანსური სტატუსის ანგარიშს, რომელიც გამოსახავს „გამოყენების უფლების“ აქტივს და შესაბამის ვალდებულებას საიჯარო ხელშეკრულებების უმრავლესობისთვის. აქტივი შემდგომში აღირიცხება, როგორც საკუთრება, საწარმო და აღჭურვილობა ან საინვესტიციო საკუთრება და ვალდებულება იფარება საპროცენტო მაჩვენებლის გამოყენებით, რომელსაც იჯარის ხელშეკრულება მოიცავს. თუმცა, ორგანიზაციებს საშუალება აქვთ ფინანსური სტატუსის ანგარიშში არ შეიტანონ მოკლევადიანი იჯარები (მაგალითად, რომელსაც აქვს 12 თვის ან ნაკლები ვადა) და დაბალი ღირებულების ერთეულების იჯარები.

შედეგად, არსებული კითხვა არის თუ არა იჯარა საოპერაციო თუ ფინანსური იჯარა არსებული ხელმძღვანელობის შესაბამისად, იცვლება კითხვით - რამდენად აძლევს შეთანხმება ბიზეს იჯარის განმარტების განსაზღვრას. IFRS 16-ის მოქმედების სფერო ფართოა და ზოგიერთმა შეთანხმებამ, რომელიც მოიცავს აქტივების გამოყენებას, რაც განიხილება, როგორც სერვისის კონტრაქტები (რომელიც აღსრულებადია და არ აღირიცხება ფინანსური პოზიციის ანგარიშში), შედეგად შესაძლოა გამოიწვიოს IFRS 16-ის მოქმედება. ახალ რეგულაციებთან შესაბამისობისათვის, საჭიროა სისტემებისა და პროცესების მნიშვნელოვანი ცვლილებები.

შემოსავლის ანგარიშში, IFRS 16-ის გამოყენება გამოიწვევს ცვლის ხარჯს (საოპერაციო ხარჯების ფარგლებში) და საპროცენტო ხარჯს. იმის გათვალისწინებით, რომ ცვეთა დაირიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე, მთლიანი ხარჯი იჯარის პირველ ნაწილზე უფრო მეტი იქნება გვიან პერიოდებთან შედარებით, ვინაიდან იჯარის ვალდებულება და დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი უფრო მეტია.

IFRS 16 ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, წინასწარი დაშვებული მოქმედებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ IFRS 15 უკვე მიღებულია.

IFRS 15 კლიენტებთან არსებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლები, IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები და IFRS 16 იჯარების გავლენა ჯერ კიდევ შესაფასებელია, ვინაიდან აღნიშნულმა ახალმა სტანდარტებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის სამომავლო ფინანსურ ანგარიშებზე.

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება აღნიშნული ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, რაც მოცემულია ქვემოთ. წინამდებარე პოლიტიკები თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ წელზე, თუკი ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

IAS 39-ის ფარგლებში, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის, სესხების და დებიტორული დავალიანების, დასაფარი ინვესტიციების, ან გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანია განსაზღვრავს თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას საწყის აღიარებაში.

სამართლიანი ღირებულება მოგებით ან ზარალით

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში, როცა ფინანსური აქტივი დაკავებულია ვაჭრობისთვის ან განკუთვნილია სამართლიანი ღირებულებისთვის, მოგების ან ზარალის საშუალებით. ისინი გაცხადებულია სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი ნამატი ან ზარალით, რომელიც წარმოიშობა აღიარებული მოგების ან ზარალის გადაფასების შედეგად.

კომპანია არ ფლობს გასაყიდ აქტივებს, არც ნებაყოფლობით არ ახდენს რომელიმე ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას სამართლიან ღირებულებაზე მოგების ან ზარალის მეშვეობით.

დაკავებული ინვესტიციები დაფარვამდე

არა-წარმოები ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადასახადით, და ფიქსირებული დაფარვის ვადა, კლასიფიცირდება, როგორც დაკავებული დაფარვამდე, როცა კომპანიას აქვს პოზიტიური განზრახვა და უნარი დააკავოს ისინი ვადის გასვლამდე. კომპანიას არა აქვს დაკავებული რაიმე ინვესტიციები ვადის გასვლამდე.

სესხები და დავალიანება

აღნიშნული აქტივები წარმოადგენს არა-წარმოებად ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან გასაზღვრებადი გადასახადით, რომელიც არ არის რეგისტრირებული არსებულ ბაზარზე. ისინი თავიდან აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით პლიუს ტრანზაქციის ხარჯები, რაც პირდაპირ უკავშირდება მათ მიღებას ან გამოცემას და თანმიმდევრულად საბალანსო ამორტიზებულ ღირებულებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

გასაყიდად ხელმისაწვდომი

არა-წარმოებადი ფინანსური აქტივები არ არიან ჩართული ზემოთ მოცემულ კატეგორიებში და კლასიფიცირდებიან, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, მოიცავენ კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს იმ ერთეულებში, რომლებიც არ წარმოადგენენ შვილობილ კომპანიებს, პარტნიორებს ან საერთო კონტროლის ორგანიზაციებს, ასევე, კორპორაციულ გაერთიანებებს. ისინი ხორციელდებიან სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ზოგადი ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში და აკუმულირებულია გასაყიდად ხელმისაწვდომ რეზერვში. მაშინ როცა გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივების სამართლიან ღირებულებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლება (რაც წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, მათ შორის, მანამდე აღიარებული სრული შემოსავლის ნებისმიერი თანხა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა აღიარებულია გარიგების დროს, სამართლიანი ღირებულების ცვლილება ვაჭრობისა და გარიგების თარიღებს შორის აღიარებულია გასაყიდად ხელმისაწვდომ რეზერვში. გაყიდვისას, კუმულაციური ნამატი ან ზარალი აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში, რეკლასიფიცირებულია გასაყიდად ხელმისაწვდომი რეზერვიდან, მოგებაზე ან ზარალზე. კომპანია არ ფლობს აქტივებს, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია გააუქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას როცა (ა) აქტივების ვადა ან აქტივებიდან ფულადი ბრუნვას მიღების ვადა სხვაგვარად იწურება ან (ბ) კომპანიამ გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ბრუნვას უფლებები ან გააფორმა კვალიფიციური გარდამავალი შეთანხმება, ასევე, (ი) გადასცა აქტივების მფლობელობის ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, მაგრამ ინარჩუნებს კონტროლის უფლებას. კონტროლი შენარჩუნებულია, თუკი მეორე მხარეს არა აქვს მთლიანი აქტივის მესამე მხარეზე გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვის დაწესების გარეშე.

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ეს შესაბამემა კომპანიისა და კლიენტების ანგარიშებს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად იზომება სამართლიანი ღირებულებით, წმინდა ტრანზაქციის ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შედეგად იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, სადაც საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ფაქტიური შემოსავლის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების და შესაბამის პერიოდზე გამოყოფილი საპროცენტო ხარჯის ამორტიზებული ღირებულების დათვლის მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც პირდაპირ აკლებს სამომავლო ფულად გადახდებს, ფინანსური ვალდებულების მიახლოებითი ხანგრძლივობის შესაბამისად, ან (საჭიროებისამებრ) მოკლე პერიოდის, წმინდა საბალანსო ღირებულებით თავდაპირველი აღიარებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია გააუქმებს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მაშინ, და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ამოიწურება. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლებულია სხვა რაიმეთი იმავე მსესხებლის მიერ, არსებითად განსხვავებული პირობების შესაბამისად, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, მსგავსი ურთიერთგაცვლა ან შეცვლა ითვლება საწყისი ვალდებულების აღიარების გაუქმებად და ახალი ვალდებულების აღიარებად. განსხვავება აღიარება გაუქმებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის, აღიარებულია მოგება-ზარალში.

(გ) კომპენსაცია

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კომპენსირდება, და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წმინდა თანხა მოცემულია მაშინ, როცა არსებობს კანონიერად აღსრულებადი უფლება, რომ ანაზღაურდეს აღიარებული თანხები, და არსებობს განზრახვა, რომ დარეგულირდეს წმინდა საფუძველზე ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულება მაშინვე დარეგულირდეს.

(დ) IFRS 13 სამართლიანი ღირებულების აღრიცხვის იერარქია

IFRS 13 მოითხოვს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას, რომელიც იზომება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით, რაც ასახავს საწყისი საბაზრო პარამეტრების მნიშვნელობას სამართლიანი ღირებულების გამოთვლის დროს. სამართლიანი ღირებულების იერარქიას აქვს რამდენიმე დონე:

- გამოცხადებული ფასები (არა-რეგულირებული) იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- გამოცხადებული ფასების გარდა, საწყისი საბაზრო პარამეტრები, რომელიც მოიცავს 1-ლ დონეს, რომელიც შეინიშნება აქტივის ან ვალდებულებისათვის, პირდაპირ (მაგალითად, ფასები) ან არაპირდაპირ (მაგალითად, ფასებიდან გამომდინარე) (მე-2 დონე); და
- აქტივის ან ვალდებულების საწყისი საბაზრო პარამეტრები, რომლებიც დაფუძნებულია არსებულ საბაზრო მონაცემებზე (უხილავი საწყისი საბაზრო პარამეტრები) (მე-3 დონე).

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელზეც კატეგორიზებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, განისაზღვრება უდაბლესი დონის საწყისი საბაზრო პარამეტრების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების გამოთვლისთვის. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად კლასიფიცირდება სამი დონიდან რომელიმე ერთზე.

კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, რომელიც გაზომილია სამართლიანი ღირებულების მიხედვით; შესაბამისად, ეს არ არის წარმოდგენილი IFRS 13-ის სამართლიანი ღირებულების აღრიცხვის იერარქიაში.

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

(ე) აქტივების ცვეთა, რომლებიც ატარებენ ამორტიზებულ ხარჯს

გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, რომელიც ირიცხება ერთი ან რამდენიმე შემთხვევის („ზარალის შემთხვევები“) შედეგად, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ და რომელმაც გავლენა მოახდინა თანხაზე ან ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის მიახლოებით სამომავლო ფულადი ბრუნვას ვადებზე, რომლებიც შესაძლოა საიმედოდ გამოითვალოს. ძირითადი ფაქტორები, რის გამოც კომპანია განიხილავს გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი, არის მისი ვადაგასული სტატუსი და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის რეალიზაციის შესაძლებლობა, არსებობის შემთხვევაში.

ასევე გამოიყენება, შემდეგი სხვა პრინციპული კრიტერიუმები, რომ განისაზღვროს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურების ზარალის დაფიქსირებისას:

- ნებისმიერი გადახდა ვადაგასულია და დაგვიანებული გადახდა არ უკავშირდება დაგვიანებას, რაც გამოწვეულია ანგარიშების სისტემებით;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს მსესხებლის ფინანსურ დოსიეში, რომელსაც კომპანია ფლობს;
- მსესხებელი მხედველობაში იღებს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- მსესხებლის გადახდის სტატუსში უარყოფითი ცვლილება, რაც გამოწვეულია ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ცვლილების გამო, რამაც გავლენა მოახდინა მსესხებელზე;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირებულია საბაზრო პირობების გაუარესების გამო.

ცვეთა გამოითვლება იმ აქტივების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ექვემდებარება რისკებს და, მენეჯმენტის მოსაზრებით, ეს საკმარისი თანხაა შესაბამისი ზარალის დასაფარად. ნორმები განვითარდა რისკებს დაქვემდებარებული აქტივების ინდივიდუალური შეფასების შედეგად, ინდივიდუალურად მატერიალური ფინანსური აქტივების მიმართებით და იმ ფინანსური აქტივების ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასების საფუძველზე, რომელიც არ არის ინდივიდუალურად მატერიალური; გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ბრუნვა, რომლებიც ჯგუფურად შეფასებულია გაუფასურების მიმართებით, გამოთვლილია საკმარისი ისტორიული დანაკარგის გამოცდილების და ვადაგადაცილებული თანხების წარმატებით დაფარვის საფუძველზე. ისტორიული გამოცდილება მოდიფიცირებულია მიმდინარე არსებული მონაცემების საფუძველზე, არსებული პირობების ეფექტის ასახვისათვის, რაც გავლენას არ ახდენს გასული პერიოდების და ძველი პირობების ეფექტების ჩანაცვლებაზე, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. თუკი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები, რომელიც დაკავებულია ამორტიზებული ღირებულებით, გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების გამო, ცვეთა გამოითვლება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, პირობების შეცვლამდე.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია საექვო ვალების რეზერვის საშუალებით, აქტივის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად მოსალოდნელი ფულადი ბრუნვას არსებულ ღირებულებამდე (რომელიც ამოირიცხავს სამომავლო კრედიტის დანაკარგს, რომელიც არ არის დარიცხული), აქტივის საწყის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე ფასდაკლებული. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სავარაუდო, სამომავლო ფულადი ბრუნვას არსებული ღირებულების კალკულაცია გამოსახავს ფულად ნაკადს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას გამოსყიდვის უფლების წართმევის გამო ხარჯის გამოკლებით, უზრუნველყოფის მიღების ან გაყიდვის გამო, მიუხედავად იმისა გამოსყიდვის უფლება შესაძლებელია თუ არა.

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტი

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტებია ერთეულები, რომლებიც მზადაა კონვერტაციისთვის ნაღდი ფულის უკვე ცნობილ მოცულობაზე, და რომელიც ექვემდებარება ღირებულების უმნიშვნელო ცვლილების რისკს. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები მოიცავს თანხას ხელზე, და საბანკო დეპოზიტებს ან დებიტორულ დავალიანებებს, დაფარვის სამ თვეზე ნაკლები ხანგრძლივობით. რესურსები, რომლებიც შეზღუდულია წარმოშობიდან სამ თვეზე მეტი პერიოდით, გამოირიცხება ნაღდი ფულიდან და ნაღდი ფულის ექვივალენტებიდან.

საკუთრება, აღჭურვილობა და ხელშეუხებელი აქტივები

საკუთრება, აღჭურვილობა და ხელშეუხებელი აქტივები გამოსახულია საწყის ღირებულებაში აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და აღიარებული გაუფასურების გამოკლებით, არსებობის შემთხვევაში. ცვეთა ირიცხება საკუთრების, აღჭურვილობის და ხელშეუხებელი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე და ექვემდებარება ჩამოწერას, აქტივების სასარგებლო ეკონომიკური ხანგრძლივობის მანძილზე. ცვეთა/ამორტიზაცია გამოითვლება 5 წლის მანძილზე, წრფივი მეთოდის საფუძველზე. საკუთრების, აღჭურვილობის და ხელშეუხებელი აქტივების საბალანსო თანხები გადაიხედება თითოეული ანგარიშგების დროს, რათა შეფასდეს რამდენად აღრიცხულია ეს მათი ანაზღაურებადი თანხების ნაშთი. ანაზღაურებადი თანხა მეტია სამართლიან ღირებულებაზე გაყიდვის ხარჯების და გამოყენების ღირებულების გამოკლებით.

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ შემოსავლებს. დივიდენდები ირიცხება კაპიტალში მათი დეკლარირების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსურ ანგარიშამდე დეკლარირებული ნებისმიერი დივიდენდი მზად არის გამოსაშვებად და აისახება სააღრიცხვო თარიღების შემდეგ განმარტებებში.

უზრუნველყოფა, გაუთვალისწინებელი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი აქტივები

უზრუნველყოფა არის გაურკვეველი დროის ან ოდენობის ვალდებულება. ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება გარდასული გარემოებებიდან, რომელთა რეალიზებამაც, მოსალოდნელია, კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალი განაპირობოს. დამავალდებულებელი გარემოება არის გარემოება, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც კომპანიას არ აქვს ამ ვალდებულების დაფარვის რეალისტური ალტერნატივა. ლეგალური ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც მომდინარეობს:

- ხელშეკრულებიდან (ღია და ფარული პირობების გზით);
- კანონმდებლობიდან; ან
- ან კანონის სხვა მოქმედებიდან.

კონსტრუქციული (ნებაყოფლობითი) ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება კომპანიის მოქმედებებიდან, როცა:

- კომპანიამ სხვა მხარეებს განუცხადა, რომ ის მიიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს, წარსული პრაქტიკის დამკვიდრებული ნიშნით, გამოქვეყნებული (გაცხადებული პოლიტიკით) ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადებით.
- კომპანიამ შექმნა საფუძვლიანი მოლოდინი სხვა მხარეთა მიმართებით, რომ ის შესაძლებელს ვალდებულებებს;

ტერმინი „გაუთვალისწინებელი პასუხისმგებლობა“ აღნიშნავს ვალდებულებებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარებით კრიტერიუმებს. საბუღალტრო პოლიტიკა განარჩევს:

- გარანტიებს - რომლებიც აღიარებულია, როგორც პასუხისმგებლობები (იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელია გაკეთდეს საიმედო შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებებს და, შესაძლებელია, ვალდებულებების დასაფარად, ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალი გახდეს საჭირო; და
- გაუთვალისწინებელი ვალდებულებები - რომელთაც არ მიიჩნევენ ვალდებულებებად, რადგან ისინი არის ან:
 - შესაძლო ვალდებულებები, რადგან საჭიროა დადასტურდეს კომპანიას აქვს თუ არა მიმდინარე ვალდებულება, რომელიც გამოიწვევდა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალს; ან
 - მიმდინარე ვალდებულებები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ სტანდარტით განსაზღვრულ აღიარების კრიტერიუმებს (რადგან ან არ ივარაუდება, რომ ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალი იქნება საჭირო, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება).

გაუთვალისწინებელი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეკონომიკური სარგებლის გასავალი შეიძლება დაიწყოს და შესაძლებელია ასეთი ვალდებულებების თანხის საიმედოდ აღრიცხვა. ინფორმაცია გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესახებ მოცემულია ფინანსური ანგარიშების განმარტებებში იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასავალი.

გაუთვალისწინებელი ვალდებულებები შეიძლება აღმოცენდეს მოსალოდნელი გზით. ამიტომაც, მათი შეფასება ხდება მრავალჯერადად, რათა განისაზღვროს შესაძლებელი გახდა თუ არა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალი. თუ ეს შესაძლებელი გახდა, მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასავალი გახდება საჭირო იმ მუხლისთვის, რომელიც ადრე წარმოადგენდა გაუთვალისწინებელ ვალდებულებას, უზრუნველყოფა აღიარებულ იქნება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშებში, რომელშიც შესაძლებლობის ცვლილება ხდება (გარდა, მეტისმეტად გამონაკლისი გარემოებებისა, სადაც შეუძლებელია საიმედო შეფასების გაკეთება).

გაუთვალისწინებელი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშებში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ მჟღავნდება, როცა შესაძლებელი ხდება ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი დანამდვილებით მოსალოდნელია, აქტივი და მასთან დაკავშირებული შემოსავალი აისახება ფინანსურ ანგარიშებში იმ წლისთვის, როცა მოხდა შეფასების ცვლილება.

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

საქართველოში „კორპორატიული მოგების გადასახადი“ (მოგების გადასახადი) ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ამ საგადასახადო მოდელის მიზანი გახლავთ საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

„კორპორატიული მოგების გადასახადის“ ახალი მოდელით გათვალისწინებული მთავარი შესწორება უზრუნველყოფს კორპორატიული შემოსავლის დაბეგვრის გადავადებას წმინდა შემოსავლის განაწილებამდე. ეს გადაწყვეტილება გაზრდის ფინანსურ რესურსებზე მისაწვდომობას და უზრუნველყოფს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან სხვა საქმიანობაში. კორპორატიული მოგების გადასახადის განაკვეთი რჩება იგივე, რაც ადრე - 15%, ტექნიკურად, 15%/85% გავრცელება დაბეგვრადი ობიექტის თანხაზე. დამატებით, ყოველწლიური დარიცხვის ნაცვლად, „კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის“ დარიცხვა განხორციელდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომდევნო თვის მე-15-ე დღისა.

„კორპორატიული მოგების გადასახადის“ ახალი მოდელის მიხედვით, დასაბეგრ ობიექტებს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/ნამდვილი გადახდები:

- დივიდენდების გადახდა
- განსხვავებები საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
- უფასო მიწოდება და საჩუქრები
- ჭარბი წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, არ არსებობს რაიმე სხვაობა საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო ბაზებს შორის, რასაც შეეძლო გამოეწვია საგადასახადო აქტივების ან საგადასახადო ვალდებულებების გადავადება.

მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადების აღიარება ხდება, როცა სახეზეა დამავალდებულებელი გარემოებები. დამავალდებულებელი გარემოება ნიშნავს გარემოებას და ფაქტს, როცა წარმოიშვება გადასახადის გადახდის ვალდებულება. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ფინანსური აქტივიდან მიღებული ფინანსური შემოსავლის (მათ შორის, საიდენტიფიკაციო სახდელი, საკომისიო სახდელი, გადასახადი სარეგისტრაციო ვადის გახანგრძლივებაზე, და ჯარიმა) აღიარება ხდება, როცა არსებობს შესაძლებლობა, რომ ეკონომიკური ბენეფიტები შევიდეს კომპანიაში და როცა შესაძლებელია შემოსავლის ოდენობა საიმედოდ გაიზომოს.

სესხის მართვის სახდელები აღიარებულია, როგორც შემოსავალი, რადგან ხდება მომსახურების გაწევა.

ყველა სხვა დანარჩენი საკომისიო სახდელის აღიარება ხდება სერვისების მიწოდების დროს.

ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის მეთოდი ფინანსური აქტივის ამორტიზებული ხარჯის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების) გამოსათვლელად და შესაბამისი პერიოდის განმავლობაში საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის განსაზღვრებად.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადგენს მომავალი ნაღდი ფულის შეფასებულ შემოსავლებს (მათ შორის, ყველა გადახდილი ან მიღებული სახდელი, რომლებიც ქმნიან ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, სატრანზაქციო ხარჯებს და სხვა სადაზღვევო ხარჯებს ან ფასდაკლებებს), სავალუტო ინსტრუმენტის სავარაუდო ხანგრძლივობის მანძილზე, ან (სადაც შესაძლებელია) უფრო მოკლე პერიოდში, თავდაპირველ აღიარებამდე წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

თუ ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერა (სანახევროდ ჩამოიწერა) ღირებულების გაუფასურების შედეგად, მიიჩნევა, რომ ამის შემდეგ, ფინანსური შემოსავალი იყენებს იმ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც გამოიყენება მომავალი ნაღდი ფულის დინებათა შესაფასებლად, რათა დაითვალოს ღირებულების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

ხარჯების აღიარება

ხარჯები აისახება მთლიანი შემოსავლის ანგარიშში თუ წარმოიქმნება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან. საჭიროა, შესაძლებელი იყოს მათი საიმედო შეფასება.

ხარჯები მთლიანი შემოსავლის ანგარიშში აისახება დაუყოვნებლივ თუ ხარჯები არ იწვევს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მეტად ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აღიარების მოთხოვნებს, როგორც აქტივი საბალანსო უწყისში.

საოპერაციო ლიზინგი

თუ კომპანია წარმოადგენს დამქირავებელს ისეთ სალიზინგო გარიგებაში, რომელიც მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და მოგებას არ გადასცემს გამქირავებელიდან კომპანიაზე, სალიზინგო გარიგების მთლიანი გადახდები დაეწერება წლიურ მოგებას ან ზარალს თანაბარზომიერად სალიზინგო ვადის განმავლობაში. ეს სალიზინგო ვადა წარმოადგენს დროის პერიოდს, რომლის შეწყვეტაც შეუძლებელია და ამ პერიოდის განმავლობაში მოიჯარე დებს ხელშეკრულებას აქტივის იჯარით აღების შესახებ, სხვა შემდგომ პირობებთან ერთად, რომელთა მიმართებაშიც მოიჯარეს შეუძლია გააგრძელოს აქტივის იჯარა, შემდგომი გადახდით ან მის გარეშე, მაშინ, როცა იჯარის დასაწყისში გონივრულად გარკვეულია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევით შესაძლებლობას.

ხელფასები და დასაქმებულთა სხვა ბენეფიტები

ხელფასები, ანაზღაურება, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები წარმოიქმნება იმ წელიწადში, რომელშიც შესაბამის მომსახურებას გასწევს კომპანიის თანამშრომლები.

საანგარიშო თარიღის შემდგომი გარემოებები

საანგარიშო პერიოდის შემდგომი გარემოებები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის დღემდე არსებული გარემოებები, რომლებიც შეიცავენ დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩართულია ფინანსურ ანგარიშგებში. პოსტ საბალანსო უწყისის ფაქტები, რომლებიც არ ისახება კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე საბალანსო უწყისის დღეს, მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უცხოური ვალუტის გადათვლა

ფინანსურ ანგარიშგებში ჩართული ობიექტები იზომება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც კომპანია საქმიანობს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და საპრეზენტაციო ვალუტას.

მონეტარული აქტივების და ვალდებულებების გადათვლა ხორციელდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების განხორციელებისას და მონეტარული აქტივების და ვალდებულებების გადაფასებისას კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მთლიანი შემოსავლის ანგარიშში. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით განხორციელებული გადაფასება არ ვრცელდება არამონეტარულ მუხლებზე, მათ შორის, ინვესტიციებზე სააქციო კაპიტალში. სააქციო ფასიანი ქაღალდების რეალურ ღირებულებაზე მოქმედი გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტები აისახება როგორც რეალური ღირებულების გადაფასებით გამოწვეული მოგება ან ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოგიდგენთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის გამოცხადებულ გაცვლით კურსს

				USD/GEL	EUR/GEL
გაცვლითი კურსი	2017 წლის 31	2.5922			3.1044
დეკემბერს					
გაცვლითი კურსი	2016 წლის 31	2.6468			2.7940
დეკემბერს					

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

4. არსებითი საბუღალტრო (სააღრიცხვო) შეფასებები და მოსაზრებები

კომპანია მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით გარკვეულ გათვლებს და შეფასებებს ახორციელებს. შეფასებები და გათვლები მრავალჯერადად კეთდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, მომავალ მოვლენებთან დაკავშირებულ მოლოდინებზე დაყრდნობით, რომლებიც მიიჩნევა გონივრულად არსებულ სიტუაციაში. მომავალში არსებული გამოცდილება და სინამდვილე შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და დათვლებისგან. ეს შეფასებები და დათვლები მომავალ ფინანსურ წელში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მატერიალური ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს შეიცავს და ისინი განხილულია ქვემოთ.

სესხების და დებეტის გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად აანალიზებს თავის სასესხო პორტფელს აქტივების გაუფასურების შესაფასებლად. იმის დადგენისას აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი უნდა ჩაიწეროს თუ არა სამშომსავლო ანგარიშში, კომპანია აანალიზებს არსებობს თუ არა რაიმე ხელშესახები მონაცემები იმის შესახებ, რომ მომავალი სავარაუდო ფულადი ბრუნვების სასესხო პორტფელიდან გამოთვლადი (შეფასებადი) კლება არსებობს მანამ, სანამ ამ პორტფელში ინდივიდუალური სესხის კლება დაფიქსირდება. ეს მტკიცებულება შეიძლება შეიცავდეს ხელშესახებ მონაცემებს იმაზე მითითებით, რომ არსებობს მსესხებელთა საგადასახდელი სტატუსის, ან ეროვნული ან ლოკალური ეკონომიკური პირობების არასახარბიელო ცვლილება, რომლებიც ურთიერთქმედებენ კომპანიაში წარუმატებელ აქტივებთან. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხზე ან დებეტის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი წარმოიშვა, ზარალის ზომა იზომება როგორც განსხვავება სესხის ან დებეტის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი სავარაუდო ფულადი ბრუნვების მიმდინარე ღირებულებას შორის, მათ შორის, თანხები მიღებული, ფასდაკლებული სესხებიდან ან თანხები ეფექტური საპროცენტო განაკვეთიდან. მომავალი ფულადი ბრუნვების ოდენობისა და დროის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია და შეფასებები ფასდება რეგულარულად, რათა შემცირდეს ზარალის შეფასებასა და რეალურ ზარალის გამოცდილებას შორის არსებული განსხვავება.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

იქ, სადაც აუცილებელია, შესაბამისი ციფრები გადათვლილია მიმდინარე წლის თანხებთან შესათანხმებლად. რეკლასიფიკაციის შედეგი შემდეგია:

	თავდაპირველი წარდგენა 2016 წლის 31 დეკემბერი	რეკლასიფიკაცია	2016 წლის 31 დეკემბრის წარდგენა
ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ			
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის კვავალენტები	443	1,079	1,522
სესხები კლიენტებს	6,047	(54)	5,993
სათაო კომპანიისთვის მიწერილი სესხები	27 721	(21,778)	5,943
სხვა აქტივები	2 484	(1,024)	1,460
სხვა ვალდებულებები	25 696	(21,777)	3,919
ანგარიში მთლიანი შემოსავლის შესახებ			
სხვა შემოსავალი, წმინდა	2,111	(2,108)	3
საოპერაციო ხარჯები	(14,378)	2,108	(12,270)

თავდაპირველი გადახდის შემდეგ დაახლოებით ორი დღე ჭირდება ნაღდ ფულს კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადასარიცხად. წლის ნებისმიერ დროს არსებობს ფულის გარკვეული ოდენობა, რომელთაც იხდიან კლიენტები, მაგრამ ჯერ არ ისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე. ასეთი თანხა 1 079 ლარის ოდენობით 2016 წლის 31 დეკემბრისთვის თავდაპირველად კლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები. კომპანიამ განახორციელა აღნიშნული კლასიფიკაციის სიზუსტის გადაფასება და მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგინოს ისინი, როგორც გზაში მყოფი (გადარიცხვის პროცესში მყოფი) ნაღდი ფული.

2017 წელს მეწილეებმა გადაწყვიტეს, რომ გადაეხადათ და მიეღოთ შიდა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ურთიერთჩათვლის მეთოდით. შედეგად, კომპანიამ განახორციელა 21 781 ლარის ღირებულების ფინანსური კრედიტორული და დებიტორული ვალდებულებების ჩათვლა IAS 32 მოთხოვნების შესაბამისად.

„ქოლ ცენტრის“ მომსახურების უზრუნველყოფის საშუალებით გენერირებული შემოსავალი/ხარჯები ახლა წარმოჩნდება, როგორც სხვა შემოსავალი ურთიერთჩათვლის საფუძველზე.

**6. წმინდა ფინანსური შემოსავალი ცვეთამდე
მიღებული ფინანსური შემოსავალი:**

	2017	2016
გამოსყიდული მშობელი კომპანიის		
სესხებიდან მიღებული ნამატი ღირებულება	5,825	4,281
ჯარიმები და საკომისიოები:	31	1,209
ჯამური ფინანსური შემოსავალი:	5,856	5,490
მიღებული ფინანსური შემოსავალი:		
აფილირებული მხარეების სესხებიდან	(846)	(3,320)
სხვა ფინანსური ინსტიტუტების სესხებიდან	(41)	(67)
ჯამური ფინანსური შემოსავალი	(887)	(3,387)

წმინდა ფინანსური შემოსავალი გაუფასურების

დანაკარგების უზრუნველყოფამდე	4,969	2,103
------------------------------	-------	-------

7. სამენეჯმენტო სესხებზე საკომისიო გადასახადი, წმინდა

„კომპანია“ უზრუნველყოფს მშობელ კომპანიის მიერ გამოშვებული სესხებს მენეჯმენტს. ამ საქმიანობიდან მიღებული მოგება აღირიცხება, როგორც კრედიტის მართვიდან შემოსული შემოსავალი. „კომპანიის“ მართვა ხორციელდება მენეჯმენტის საფასურის გადახდით, შემოსავალზე ორიენტირებული „კომპანიის“ მოსალოდნელი მომგებიანობის თვალსაზრისით.

8. უიმედო ვალების გაყიდვით მიღებული მოგება, წმინდა

	2017	2016
გასაყიდი ფასი	1,705	226
ჯამური გასაყიდი ფასი:	1,705	226
გაცემული სესხების სრული ოდენობა	(16,783)	(1,335)
გაყიდული სესხების		
უზრუნველყოფის საერთო ოდენობა	15,457	1,129
უზრუნველყოფილი სესხების წმინდა ღირებულება	(1,326)	(206)
ჩამოწერილი სესხების გაყიდვით მიღებული		
წმინდა მოგება	379	20

**9. უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული მოგება/(ზარალი),
წმინდა**

	2017	2016
უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული მოგება	3,553	2,355
უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული ზარალი	(2,190)	(3,527)
უცხოური გაცვლითი კურსიდან მოგება/(ზარალი), სუფთა	1,363	(1,172)

10. სხვა შემოსავალი, წმინდა

	2017	2016
სხვა შემოსავალი		
ქოლ-ცენტრის სერვისის შემოსავალი*	1,854	2,296
სხვა შემოსავალი	90	142
	1,944	2,438
სხვა ხარჯები		
ქოლ-ცენტრის სერვისის ხარჯები*	(1,696)	(2,108)
ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების გაცემით მიღებული ზარალი	(128)	(62)
სხვა ხარჯები	(100)	(265)
	(1,924)	(2,435)
სხვა შემოსავლები, წმინდა	20	3

*ქოლ-ცენტრის სერვისების შემოსავალი/ხარჯები წარმოადგენენ ყაზახეთსა და რუსეთში გადასახად თანხას შვილობილი კომპანიებისთვის რუსეთის ფედერაციასა და ყაზახეთში სატელეფონო ქოლ-ცენტრით გაწეული სერვისისთვის, რომლებიც იმავე ტიპის პროდუქტს მთელს რუსეთის ფედერაციაში (eZaem.ru/Moneza.ru) და ყაზახეთში ყიდნიან.

11. საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
პერსონალის ხარჯები	(2,606)	(2,626)
სესხის დაფარვის სერვისის გადასახადი	(981)	(900)
სარეკლამო ხარჯები	(945)	(6,020)
საკონსულტაციო ხარჯები	(696)	(945)
ქირა	(373)	(296)
საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს მომსახურების საფასური	(244)	(331)
ცვეთა და ამორტიზაცია	(199)	(220)
საფოსტო ხარჯები	(177)	(287)
საკომუნიკაციო ხარჯები	(70)	(148)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(32)	(45)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(350)	(452)
ჯამური საოპერაციო ხარჯები	(6,673)	(12,270)

12. წინასწარ გადახდილი ჩამოწერილი ქირა

2016 წლის ბოლოს, კომპანია გეგმავდა ახალ ოფისში გადასვლას. ამ მიზნით, კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება შპს "Expo Georgia"- სთან და წინასწარ გადაიხადა 7 თვის გადასახადი, ჯამში 597 ლარი. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოცხადების შემდეგ, რომელიც მოცემულია შენიშვნა 1-ში, კომპანიამ გადააფასა თავისი სამომავლო გეგმები და უარი თქვა უფრო დიდ ოფისში გადასვლაზე. თუმცა, ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, წინასწარ გადახდილი თანხა არ დაბრუნებულა. მენეჯმენტმა უკვე წარადგინა საჩივარი და გადადგა აქტიური ნაბიჯები თანხის უკან მისაღებად. ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს თანხა აღიაროს, როგორც ხარჯი მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

13. ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნაღდი ფული ბანკში	682	443
საინკასაციო ნაღდი ფული*	593	1,079
ჯამური ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები	1,275	1,522

* საინკასაციო ნაღდი ფული შემოტანილია მომხმარებლების მიერ გადახდის ტერმინალებით გადახდილი თანხებიდან, რომლებიც მოგვიანებით გადაირიცხა კომპანიაზე პროვადერის მიერ.

ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტების ვალუტაში გადანაწილება განმარტებულია 22-ე შენიშვნაში.

14. სესხები მომხმარებლებისთვის

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სესხები მომხმარებლებისთვის	9,385	16,238
დაგროვილი საკომისიო	11	68
სესხები მომხმარებლებისთვის ცვეთამდე	9,396	16,306
ნაკლები: გაუფასურებით მიღებული დანაკარგების ანაზღაურება	(8,305)	(10,313)
ჯამური სესხები მომხმარებლებისთვის	1,091	5,993

2015 წლის აგვისტოში, კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება დედობილ კომპანიასთან, უფლებების გადაცემის შესახებ, რომლის საფუძველზეც გაცემული ყველა სესხი თავდაპირველად გადაყიდულია Twino Latvia-ზე. 30 დღეზე გადაცილებულ გადაცემულ სესხებს კომპანია ისევ ყიდულობს, ფასდაკლებული ღირებულებით. ვინაიდან აღნიშნული სესხები ვადაგასული და გაუფასურებულია, საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ნაღდი ფულის საფუძველზე. დარიცხული საკომისიო მხოლოდ ეხება ისეთ სესხებს, რომლებიც გაცემულია გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებამდე, ამიტომაც, აღნიშნული სესხების საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ, რომელიც გაცემულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები 2017	გაუფასურების რეზერვი	სესხები რეზერვების გამოკლებით	გაუფასურების რეზერვი გაცემული სესხებისთვის
არა-ვადაგადაცილებული და არავადავადებული	8	-	8	0.00%
ვადავადებული, მაგრამ არა ვადაგადაცილებული	36	-	36	0.00%
ვადაგადაცილება:				
30 დღემდე	27	-	27	0.00%
31-დან 60 დღემდე	310	(173)	137	55.81%
61-დან 90 დღემდე	260	(186)	74	71.54%
91-დან 120 დღემდე	233	(202)	31	86.70%
121-დან 150 დღემდე	322	(274)	48	85.09%
151-დან 180 დღემდე	213	(169)	44	79.34%
181-დან 270 დღემდე	779	(671)	108	86.14%
271-დან 360 დღემდე	3,402	(3,008)	394	88.42%
360 დღეზე მეტი	3,806	(3,622)	184	95.17%
მოთხოვნი ჯგუფურად შეფასებული სესხები	9,396	(8,305)	1,091	88.39%

14. სესხები მომხმარებლებისთვის

მომდევნო ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას 2016 წლის 31 დეკემბერს გადაუხდელი სესხების საკრედიტო მდგომარეობაზე.

	საერთო სესხები 2016		რეზერვი ჩამოწერისას	წმინდა სესხ	ჩამოწერილი მთლიანი სესხების უზრუნველყოფა
არა-ვადაგადასული და არა-ვადაგადაწეული	32	(1)	31		3.13%
ვადაგადაწეული არა-ვადაგადაცილებული ვადაგასული:	106	(3)	103		2.83%
30 დღემდე	59	(6)	53		10.17%
31 -დან 60 დღემდე	2,327	(857)	1,470		36.83%
61-დან 90 დღემდე	2,069	(1,062)	1,007		51.33%
91-დან 120 დღემდე	1,770	(1,026)	744		57.97%
121-დან 150 დღემდე	1,569	(976)	593		62.21%
151-დან 180 დღემდე	1,567	(1,035)	532		66.05%
181-დან 270 დღემდე	3,959	(2,952)	1,007		74.56%
271-დან 360 დღემდე	1,459	(1,204)	255		82.52%
360 დღეზე მეტი	1,389	(1,191)	198		85.75%
ერთად ჯამში დარიცხული სესხები	16,306	(10,313)	5,993	63.25%	

ჩამოწერილი სესხის რეზერვებში ცვლილებები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2017	2016
ბალანსი წელიწადის დასაწყისში	10,313	918
წლის მანძილზე აღიარებული, ჩამოწერილი ზარალი	18,097	10,524
რესტრუქტურირებული და გაყიდული სესხის პორტფელი	(20,105)	(1,129)
ბალანსი წელიწადის ბოლოს	8,305	10,313

15. მშობელ კომპანიას მიწერილი სესხები

2015 წლიდან, კომპანიამ გადასცა (მიყიდა) ყველა კლიენტზე გაცემული სესხი დედობილ კომპანიას. კომპანიამ შეაფასა, თუ რამდენად გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი დედობილ კომპანიაზე სესხების გადაცემით. გადაცემის ხელშეკრულების შესაბამისად, გადამცემი (კომპანია) უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, თავიდან შეისყიდოს მოთხოვნა (კლიენტების სესხები) მიმღებისგან და მიმღები უარს ამბობს პრეტენზიის ან საჩივრის გაცხადებაზე აღნიშნულის მიმართებით. კომპანია თავიდან შეისყიდის შეუსრულებად 30 დღეზე ვადაგადაცილებულ სესხებს კონკურენტულ ფასად. ზემოთ მოცემულზე დაყრდნობით, სესხის გადაცემის დროს, მესამე მხარეზე გაცემულ სესხებზე აღიარება უქმდება და დედობილ კომპანიებზე გადაცემული სესხები დაუყოვნებლივ აღიარებულია.

16. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სხვა ფინანსური აქტივები		
ქოლ-ცენტრის სერვისი	775	621
გაყიდული სესხების საავანსოები	665	226
მშობელი კომპანია	160	-
შეცდომით გადარიცხული ნაღდი ფული	77	-
სხვა დებიტორული დავალიანება	1,802	902
სხვა არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	504
სხვა	11	54
	11	558
სხვა აქტივები ჯამში	1,813	1,460

*როდესაც კლიენტი იღებს სესხს, მისი პერსონალური მონაცემები ინახება ორგანიზაციის სესხის პროგრამაში. ამიტომ ის არ არის ვალდებული, სხვა დროს ხელახლა შეავსოს იგივე ფორმა. თუკი კლიენტი სესხს ხელახლა იღებს, თანხა ირიცხება მის საბანკო ანგარიშზე, რომელიც ადრე იყო მითითებული და შენახული. ზოგჯერ მსგავსი ანგარიშების მოქმედების ვადა იწურება და ბანკი კომპანიას თანხას დაუბრუნებს. სხვა მხარეებზე არასწორად გადახდილი თანხა, ძირითადად, მოიცავს თანხას, რომელიც გადაირიცხა უკვე ვადაგასულ ანგარიშებზე, თუმცა ჯერ არ დაბრუნებულა 2017-2016 წლების 31 დეკემბერს.

17. ქონება და მოწყობილობები

ისტორიული ფასი	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	ჯამი
2015 წელი 31 დეკემბერი	333	103	436
დამატებები	578	229	807
გაცემული	(18)	(28)	(46)
2016 წელი 31 დეკემბერი	893	304	1,197
დამატებები	55	-	55
რეალიზება	(173)	(141)	(314)
2017 წელი 31 დეკემბერი	775	163	938
აკუმულირებული ცვეთა			
2015 წელი 31 დეკემბერი	(30)	(6)	(36)
ცვეთის საფასური	(141)	(65)	(206)
რეალიზება	3	-	3
2016 წელი 31 დეკემბერი	(168)	(71)	(239)
ცვეთის საფასური	(142)	(45)	(187)
რეალიზება	61	44	105
2017 წელი 31 დეკემბერი	(249)	(72)	(321)
სუფთა საბალანსო ღირებულება			
2016 წელი 31 დეკემბერი	725	233	958
2017 წელი 31 დეკემბერი	526	91	617

18. დაბეგვრა

საგადასახადო სისტემის სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მოცემულია შენიშვნა 3-ში, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადახდო ბაზას შორის განსხვავება არ არის, რაც შედეგად იწვევს გადავადებულ საგადახდო აქტივებს ან გადავადებულ საგადახდო ვალდებულებებს. ამიტომაც, წინა წლის გადავადებული საგადახდო აქტივი, 1,537 ლარის ღირებულებით, მთლიანად ჩამოიწერა მიმდინარე წელს:

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	(484)
ეფექტის დროებითი სხვაობა	(1537)	1,380
მოგების გადასახადი (დანახარჯი)/სარგებელი	1,537	896

19. სესხები

	ვალუტა	კურსი	ვადა	2017 წელი	31 დეკემბერი	2016 წელი	31 დეკემბერი
				პირვანდელი სესხები	დაგროვილი სესხები	პირვანდელი სესხები	დაგროვილი სესხები
სესხები ასოცირებული პირებიდან	EUR	15%	21 ივნისი 2017	-	-	15,820	41
არასოცირებული პირებიდან	EUR	12%	მოთხოვნით	500	3	251	180
სესხები ჯამში				500	3	16,071	221

ფინანსური აქტივობებიდან გამომდინარე ცვლილებები სესხებში, მათ შორის ნაღდი და უნაღდო ფულადი ბრუნვის ცვლილებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
წლის დასაწყისში	
ფულადი ბრუნვა	16,292
უნაღდო ფულადი ბრუნვა:	
დარიცხული პროცენტი პერიოდში	887
უცხოურ გაცვლით კურსის სხვაობა	(824)
სხვა	46
წელიწადის დასასრულს	503

20. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
	2017	2016
მშობელი კომპანია	20,104	-
სესხზე მიღებული სავანსოები	1,126	1,001
შეცდომით დარიცხული თანხა	667	149
ზედმეტად გადახდილი თანხა	629	395
მარკეტინგული მომსახურება	41	1,271
სხვები	134	1,103
სხვა ჯამური ვალდებულებები	22,701	3,919

* ინფორმაცია მოცემულია მე-15 შენიშვნაში ზემოთ.

21. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ხარჯები

სასამართლო პროცესი - ჩვეული საქმიანობის ფარგლებში, კომპანიები ხშირად ხდებიან იურიდიული მოქმედებისა და საჩივრების საგანი. კომპანიის კლიენტების მიერ სესხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომპანია ერთვება იურიდიულ დავებში მსგავსი კლიენტების წინააღმდეგ. უმაღლესი შესაძლო შედეგი მსგავსი იურიდიული დავიდან არის აღნიშნული კლიენტებიდან სესხის თანხის მიღება (დარიცხული პროცენტისა და სხვა მოსაკრებლის ჩათვლით). ვინაიდან გაურკვეველია, თუ რამდენად შეასრულებს ყველა კლიენტი საგადახდო ვალდებულებებს, კომპანია აღიარებს მსგავსი სესხების გაუფასურების დებულებას, როგორც ეს მოცემულია შენიშვნა 14-ში.

გადასახადები - საქართველოს საგადახდო კანონმდებლობამ შესაძლოა ზიანი მისცეს სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს. ამასთანავე, ვინაიდან მენეჯმენტის ინტერპრეტაცია საგადახდო კანონმდებლობის მიმართ შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადახდო ორგანოების ინტერპრეტაციებიდან, ტრანზაქციები შესაძლოა შეფერხდეს საგადახდო ორგანოების მიერ და გამოიწვიოს კომპანიისთვის დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და პროცენტის დაწესება. კომპანია მიიჩნევს, რომ მან უკვე განახორციელა ყველა საგადახდო გადახდა და დარიცხვა თავის ფინანსურ ანგარიშებში. საგადახდო წლები ღია რჩება, საგადახდო ორგანოების მიერ განსახილველად სამი წლის მანძილზე.

საქართველოს ბიზნეს გარემო - კომპანია მოქმედებს საქართველოში. შესაბამისად, კომპანია წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც გამოხატავს ფორმირებადი ბაზრის მახასიათებლებს. იურიდიული, საგადასახდო და მარეგულირებელი ჩარჩოები განვითარების პროცესში არიან, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც სხვა იურიდიულ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, ხელს უწყობენ გამოწვევების გადაჭრას, რომლის წინაშე საქართველოში მოქმედი ერთეულები დგანან. ფინანსური ანგარიშგება გამოხატავს მენეჯმენტის შეფასებას საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენაზე კომპანიის ოპერაციებისა და ფინანსური სტატუსის მიმართებით. სამომავლო ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებიდან.

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მენეჯმენტი

როგორც ფინანსური ინსტიტუტი, კომპანია გარკვეული რისკების ქვეშაა, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტიტუტების გამოყენების შემდეგ. ეს პუნქტი აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკას და პროცესებს აღნიშნული რისკების სამართავად და მათ გასაზომად გამოყენებულ მეთოდებს. უფრო მეტი რაოდენობრივი ინფორმაცია აღნიშნულ რისკებთან მიმართებით წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ლიკვიდურია ან აქვთ დაფარვის მოკლევადიანი ხანგრძლივობა, ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება დაახლოებით შეესაბამება სამართლიან ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკების განსაზღვრაზე, და ის იტოვებს საბოლოო პასუხისმგებლობას, თუმცა კომპანიამ მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება კომპანიის ფინანსურ ფუნქციაზე, მიზნებისა და პოლიტიკების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროცესების დაგეგმვისა და მოქმედების მიმართებით.

მენეჯმენტის საერთო მიზანია გეგმის წარდგენა რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად, კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე გადაჭარბებული გავლენის გარეშე. აღნიშნული პოლიტიკების შესახებ უფრო მეტი დეტალები მოცემულია ქვემოთ. თავისი ოპერაციებით, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

22. ფინანსური ინსტრუმენტები- რისკ-მენეჯმენტი

ფინანსური ვალდებულებები ლიკვიდურობა 2016 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	ჯამში
სესხები	3,594	-	12,698	16,292
ჯამური საპროცენტო ფინანსური ვალდებულებები	3,594	-	12,698	16,292
სხვა ვალდებულებები *	3,733	186	-	3,919
ჯამური ფინანსური ვალდებულებები	7,327	186	12,698	20,211

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება დაიკლებს საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საპროცენტო და უცხოური ვალუტის ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობისას. ეს არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები არამყარი იქნება, უცხოური გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) ცვლილებების გამო.

- სავალუტო რისკი

სავალუტო კურსი განმარტებულია როგორც რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იქნება არამყარი უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანია მგრძნობიარეა უპირატესი უცხოური სავალუტო კურსის მერყეობისადმი, ფინანსური სტატუსისა და ფულადი ნაკადების მიმართებით.

ფინანსური აქტივები	GEL	USD	EUR	RUR
ნაღდი ფული და				
მისი ეკვივალენტები	1,275	-	-	-
სამომხმარებლო სესხები	1,091	-	-	-
სხვა აქტივები	968	7	670	157
ჯამური ფინანსური აქტივები	3,334	7	670	157

ფინანსური ვალდებულებები

სესხები	-	-	503	-
სხვა ვალდებულებები	21,889	-	812	-
ჯამური ფინანსური ვალდებულებები	21,889	-	1,315	-

ღია საბალანსო მდგომარეობა	(18,555) 7	(645)	157	
კომპანიის დამოკიდებულება გაცვლითი ვალუტის კურსზე 2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგომ ცხრილში:				
ფინანსური აქტივები	GEL	USD	EUR	RUR
ნაღდი ფული და				
მისი ეკვივალენტები	1,522	-	-	
სამომხმარებლო სესხები	5,993	-	-	
მშობელ კომპანიაზე მიწერილი				
სესხები	5,943			
სხვა აქტივები	281	-	-	621
ჯამური ფინანსური აქტივები	13,739	-	-	621
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	-		16,292	
სხვა ვალდებულებები	3,096	42	781	
ჯამური ფინანსური				
ვალდებულებები	3,096	42	17,073	-
ღია საბალანსო მდგომარეობა	10,643	(42)	(17,073)	621

22. ფინანსური ინსტრუმენტები- რისკ-მენეჯმენტი

მომდევნო ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსის 20%-იანი მატებისა და კლების მიმართებით ქართულ ლართან შედარებით და წარმოადგენს უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების შეფასებას მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს ფულად სახსრებს, რომელიც გამოცემულია მხოლოდ უცხოურ ვალუტაში და წლის ბოლოს ახდენს მისი ერთი ვალუტიდან მეორეში გადატანის კორექტირებას უცხოური სავალუტო კურსის 20%-იანი ცვლილების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებებზე დაფუძნებით, მთლიანი შემოსავლისა და კაპიტალის გავლენა ანგარიშზე, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	(GEL/USD)		(GEL/EUR)		(GEL/RUR)	
	2017	2016	2017	2016	2017	2016
საბაზრო ვალუტის კურსის ცვალბადობის ზეგავლენა						
20% მატება	1	(8)	(129)	(3,415)	31	124
20% კლება	(1)	8	129	3,415	(31)	(124)

ანალიზი აფასებს ყველა დასაშვებ ცვალბადობას, კერძოდ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც რჩება მუდმივი.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილებებიდან, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებზე. ეს რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადის შეუსაბამობებიდან, ასევე, მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების მახასიათებლების გადაფასებიდან.

კომპანიის პროცენტის მატარებელი ყველა აქტივი და ვალდებულება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზეა, ამიტომაც, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები არ მოახდენს გავლენას კომპანიის შემოსავალზე ან ხარჯებზე.

საპროცენტო განაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ლიკვიდურობის რისკის რაოდენობრივ მონაცემებში ზემოთ.

23. კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნების დროს, კომპანიის მიზნებია:

- კომპანიის დაცვა, რომ გააგრძელოს თავისი საქმიანობა, ისე რომ შეძლოს შესაბამისად ფუნქციონირება; და
- აქციონერებისთვის შესაბამისი მოგების უზრუნველყოფა;

კომპანია ადგენს თუ კაპიტალის რა თანხა სჭირდება რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური პირობების ცვლილებებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების შესაბამისად.

კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან შესასწორებლად, კომპანიას შეუძლია აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების, აქციონერების კაპიტალის მოგების თანხის კორექტირება ან აქტივების გაყიდვა ვალის შესამცირებლად.

შპს "TWINO"

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდით, რომელიც მთავრდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

აფილირებული მხარეები ან აფილირებულ მხარეებთან ტრანზაქციები, როგორც ეს განსაზღვრულია IAS 24-ში "აფილირებული მხარის ინფორმაციის გამჟღავნება", შესაძლოა იყოს შემდეგში ჩამოთვლილიდან ერთი ან მეტი:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან რამდენიმე შუამავლის საშუალებით, აკონტროლებენ ან კონტროლდებიან ან კომპანიასთან ერთად საერთო კონტროლს ექვემდებარებიან (ეს მოიცავს მშობელ, შვილობილ კომპანიებს და ერთი მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიებს); რომლებსაც აქვთ ინტერესი კომპანიაში, რაც იძლევა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენის საშუალებას; და რომლებიც ფლობენ კომპანიის საერთო კონტროლს;

ბ) კომპანიის ან მისი დედობილი კომპანიის ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის წევრები;

გ) (ა) და (ბ)-ში მოცემული ინდივიდების ოჯახის ახლო წევრები;

დ) მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ კონტროლირებად ერთეულებს, საერთო კონტროლირებად ერთეულებს ან მნიშვნელოვნად გავლენის ქვეშ არიან, ან ისეთი ერთეულები, სადაც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის ძალაუფლებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფლობენ (გ)-ში ან (დ)-ში მითითებული ინდივიდები.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება მიპყრობილია ურთიერთობების ხასიათზე, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციების შესახებ დეტალები მოცემულია ქვემოთ.

	მეწილეები	საერთო კონტროლში არსებული ორგანიზაცია	სხვა მხარეები	მთავარი მენეჯმენტის პერსონალი
ფინანსური მდგომარეობა				
ფინანსური მდგომარეობის პოზიცია				
მშობელ კომპანიას მიწერილი სესხები		-		
სხვა აქტივები	160	755		
სხვა ვალდებულებები	20,104	-	1,097	
სრული შემოსავალი				
ფინანსური ხარჯები	(846)			
საშემოსავლო გადასახადი				
სესხის მენეჯმენტზე	4,569			
სხვა შემოსავალი, სუფთა	75	1,854		
ოპერაციის ხარჯები	(430)			(281)

აფილირებულ მხარეთა ბალანსი და ტრანზაქციები 2017 წლის ბოლოს, 31 დეკემბერს:

ფინანსური მდგომარეობა	მეწილეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირი	მთავარი მენეჯმენტის პერსონალი
ფინანსური მდგომარეობა			
მშობელ კომპანიას მიწერილი სესხები	5,943	-	
სხვა აქტივები		621	
სესხები	15,861		
სრული შემოსავალი			
ფინანსური ხარჯები	(3,320)		
საშემოსავლო გადასახადი			
სესხის მენეჯმენტზე	14,918		
სხვა შემოსავალი, სუფთა		2,296	
ოპერაციის ხარჯები			(559)

შპს “TWINO”

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდით, რომელიც მთავრდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

25. ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები

საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებები

2018 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები ისევ შევიდა ძალაში, რომლის მიხედვით საკრედიტო ტრანზაქციების მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს წლიურად (მანამდე, განსაზღვრული იყო 100% წლიურად, როგორც ეს მოცემულია შენიშვნა 1-ში).

ახალ საკანონმდებლო გარემოსთან ადაპტირებისა და საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით, კომპანიამ შეცვალა საკრედიტო პოლიტიკა ისე, რომ ახალი სესხები გაიცემა მხოლოდ ძველ კლიენტებზე, რომელთაც დადებითი საკრედიტო ისტორია აქვთ.

შპს „TWINO“-ს

წლიური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიშთან ერთად

2017 ფინანსური წლის 31 დეკემბერის ჩათვლით

მთარგმნელობითი კომპანია
Translation Company
შპს TranslateService
მობ./Mob.: +995 568 00 55 77
ოფისის ტელ./Office Tel.: +995 (32) 299 05 77
ელ.ფოსტა/E-mail: contact@translateservice.ge
ვებ-გვერდი/Web-site: www.translateservice.ge

შპს TWINO
მთავარი მენეჯერი

შინაარსი

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში.....6

ფინანსური ანგარიშები

სრული საშემოსავლო ანგარიში.....6

ფინანსური სტატუსის ანგარიში.....7

კაპიტალის ცვლილების ანგარიში.....8

ფულადი ბრუნვას ანგარიში.....9

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....10
2. მომზადების საფუძველი.....10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე აღწერილობა.....14
4. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასება და განხილვა.....20
5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები.....20
6. წმინდა ფინანსური შემოსავალი ცვეთამდე.....21
7. თავისუფალი შემოსავალი სესხის მართვაზე.....21
8. წმინდა ნამატი ჩამოწერილი სესხების ლიკვიდაციიდან.....21
9. უცხოური ვალუტის ნამატი/(დანაკარგი), სუფთა.....21
10. სხვა შემოსავალი, სუფთა.....22
11. საოპერაციო ხარჯები.....22
12. წინასწარ გადახდილი ქირის ჩამოწერა.....22
13. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები.....23
14. კლიენტების სესხები.....23
15. დედობილ კომპანიაზე გადაცემული სესხები.....24
16. სხვა აქტივები.....25
17. ქონება და მოწყობილობები.....25
18. გადასახადები.....26
19. კრედიტები.....26
20. სხვა ვალდებულებები.....26
21. პასუხისმგებლობა და გაუთვალისწინებელი ხარჯები.....27
22. ფინანსური ინსტრუმენტები, რისკის მენეჯმენტი.....27
23. კაპიტალის მენეჯმენტი.....30
24. დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები.....31
25. ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები.....32



ქათა გუგუშვილი

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში

შპს „Twino“-ს მეწილეებისა და მენეჯმენტისთვის

მოსაზრება (დასკვნა)

ჩვენ განვახორციელეთ შპს „Twino“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ასახავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და მთლიან შემოსავალს, ცვლილებებს კაპიტალში და ფულად არხებში (დასრულებული წლისთვის), ასევე, ფინანსურ ანგარიშთა განმარტებებს, მათ შორის, მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, თანხლები ფინანსური ანგარიშგება ყველა თვალსაზრისით წარმოადგენს კომპანიის ნამდვილ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იგი, ასევე, ასახავს კომპანიის ფინანსურ საქმიანობას, მის ფულად ბრუნვას წლის დასასრულისთვის, რაც შეესაბამება „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს“ (IFRS).

მოსაზრების (დასკვნის) საფუძველი

ჩვენ აუდიტი განვახორციელეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტების ფარგლებში ჩვენი პასუხისმგებლობები შემდგომში აღწერილია ჩვენი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებთ კომპანიისგან დამოუკიდებლად, რაც შეესაბამება „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს“ (IESBA Code) მოთხოვნებს, ასევე, ეთიკის იმ მოთხოვნებს, რომლებიც ვრცელდება ჩვენს მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე საქართველოში. ჩვენ, ასევე, შევასრულეთ, სხვა ეთიკური პასუხისმგებლობები ამ მოთხოვნების და IESBA კოდექსის შესაბამისად.

დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია და წარმოადგენს შესაბამის საფუძველს ჩვენი დასკვნისთვის.

მოქმედ საწარმოსთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაურკვევლობა

ფინანსურ ანგარიშგებში ჩვენ ყურადღება მივაქციეთ განმარტება 2-ს, სადაც აღნიშნულია, რომ კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 15 604 ლარი წლის განმავლობაში, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს. ამ თარიღისთვის, კომპანიას ჰქონდა 17 706 ლარის უარყოფითი ბალანსი აქტივებსა და ვალდებულებებს შორის. როგორც განმარტება 2-შია აღნიშნული, ეს გარემოებები ან პირობები მიუთითებენ, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობა, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი დარჩეს მოქმედ საწარმოდ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეცვლილა.

აუდიტორული დასკვნის განმარტებითი პარაგრაფი

2017 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ, ასევე, განვახორციელეთ განმარტება 5-ში აღწერილი რეკლასიფიკაციის აუდიტი. ეს რეკლასიფიკაციები გამოყენებულ იქნა 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების შესასწორებლად, რომელთა აუდიტიც განახორციელა სხვა აუდიტორმა და მათ წარმოადგინეს უპირობოდ დადებითი დასკვნა ამ ფინანსურ ანგარიშგებთან დაკავშირებით. ჩვენ არ მიგვიღია მონაწილეობა კომპანიის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში, განხილვაში და რაიმე პროცედურულ კომპონენტში, გარდა რეკლასიფიკაციისა. შესაბამისად, ჩვენ არ ვაფიქსირებთ ჩვენს მოსაზრებას ან სხვა რაიმე ფორმის შეხედულებას 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებთან დაკავშირებით. ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნას არ წარმოვადგენთ.

მენეჯმენტის და ფინანსურ ანგარიშებზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მიუკერძოებელ წარდგენაზე IFRS მოთხოვნების შესაბამისად, ასევე, ისეთი შიდა კონტროლზე, რომელსაც მენეჯმენტი მიიჩნევს საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ეს ფინანსური ანგარიშგება არ უნდა შეიცავდეს არსებითად დამახინჯებულ ინფორმაციას, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს, მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის უნარი დარჩეს მოქმედ საწარმოდ და გამოაშუარაოს საკითხები, რომლებიც უკავშირდება მოქმედ საწარმოს და გამოიყენოს მოქმედი საწარმოს საბუღალტრო ბაზა თუ მენეჯმენტი არ დააპირებს მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს საქმიანობა, ან არ აქვს სხვა რეალური ალტერნატიული გზა გარდა ხსენებული ნაბიჯებისა.

ძალაუფლების მქონე პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გონივრული მტკიცებულება, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს განზრახ თუ უნებლიედ დამახინჯებულ ინფორმაციას, ასევე, გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც წარმოადგენს ჩვენს პოზიციას. გონივრული მტკიცებულება წარმოადგენს მაღალი დონის საბუთს, მაგრამ ის არ არის გარანტია, რომ ISA-ს სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითად მცდარ ინფორმაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არასწორი ინფორმაცია შეიძლება გამოიწვიოს ტყუილმა ან შეცდომამ და ის განიხილება არსებითად მცდარ ინფორმაციად, ინდივიდუალურად თუ ერთობლივად, მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა მიერ ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ISA-ს მოთხოვნების თანახმად, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ შეფასებას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის განხორციელების დროს. ჩვენ ასევე:

- ვახდენთ ფინანსური ანგარიშგებაში არსებული განზრახ თუ უნებლიედ დამახინჯებული ინფორმაციის იდენტიფიცირებას და შეფასებას, ვაპროექტებთ და ვასრულებთ ამ რისკების შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომლებიც საკმარისია და შესაბამისია ჩვენი დასკვნის მოსამზადებლად. რისკისა იმისა, რომ გაყალბებით გამოწვეული არსებითად მცდარი ინფორმაცია ვერ იქნეს გამოვლენილი უფრო მაღალია, ვიდრე უნებლიე შეცდომით გამოწვეული არსებითად მცდარი ინფორმაციის ვერგამოვლენის რისკი, რადგან გაყალბება, შეიძლება გულისხმობდეს გარიგებას, ფალსიფიცირებას, მიზანმიმართულად გამოტოვებულ დეტალებს, არასწორ ინტერპრეტაციებს ან სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაშეცდმას.
- აუდიტთან დაკავშირებული შიდა კონტროლის გააზრება გარემოებებისთვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურების პროექტირების მიზნით, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.
- გამოყენებული ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისობის და მენეჯმენტის მიერ შესრულებული საბუღალტრო აღრიცხვის გონივრულობის და მასთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეფასება.
- მენეჯმენტის მიერ ბუღალტერიის მოქმედი საწარმოს ბაზისის გამოყენების შესაბამისობაზე დასკვნის მომზადება. ასევე, მოპოვებული აუდიტის მტკიცებულების საფუძველზე, მან უნდა მოამზადოს დასკვნა არსებობს თუ არა არსებითი გაურკვევლობა იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომელთაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ კომპანიის უნარი

გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი გაურკვევლობები, ჩვენ აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში არსებულ დაკავშირებულ სამხილებს, ან, თუ ასეთი სამხილები არაადეკვატურია, შევცვალოთ და შევასწოროთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენი აუდიტორული ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა ან პირობებმა შეიძლება აიძულოს კომპანია შეწყვიტოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ.

- საერთო პრეზენტაციის შეფასება, ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა და შინაარსი წარმოადგენს საბაზისო ოპერაციას სრულფასოვანი პრეზენტაციის მისაღწევად.
- მოვიპოვოთ საკმარისი შესაბამისი სააუდიტო მტკიცებულება კომპანიების ფინანსურ ინფორმაციასთან ან კომპანიის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშებთან დაკავშირებით მოსაზრების გამოსახატავად. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობაზე და შესრულებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია ძალაუფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის დაგეგმილ მიზნებთან და დროსთან, ასევე, მნიშვნელოვან აუდიტორულ მიგნებებთან დაკავშირებით, მათ შორის, აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ შიდა კონტროლში გამოვლენილი ნებისმიერი მნიშვნელოვან ნაკლოვანებებთან დაკავშირებით.

ამ დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნის მოსამზადებელ აუდიტზე პასუხისმგებელი აუდიტორული შემოწმების ხელმძღვანელი არის ივანე ჟუჟუნაშვილი.

ხელმოწერა

შპს BDO-ს სახელით
თბილისი, საქართველო
2018 წლის 28 სექტემბერი

მანო გუგუშვილი

მთარგმნელობითი კომპანია
Translation Company
TranslateService
მობ./Mob.: +995 568 00 55 77
ოფისის ტელ./Office Tel.: +995 (32) 299 05 77
ელ.ფოსტა/E-mail: contact@translateservice.ge
ვებ-გვერდი/Web-site: www.translateservice.ge

(ათასობით ქართული ლარი)

მაია ციციშვილის მიერ.

Ծանոթացնում ենք յո՞ւմանո՞ւ
Translation Company
 ՝ Translate Service
 Ժամ./Mob.: +995 368 00 55 77
 Թղթնո՞ւ Եղթ./Office Tel.: +995 (32) 299 05 77
 Ելո՞ւ Ելո՞ւ/E-mail: contact@translateservice.ge
 Ինթերնետ/ Web-site: www.translateservice.ge

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2017 წლის 31 დეკემბერი

(ათასობით ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	13	1,275	1,522
სამომხმარებლო სესხები	14	1,091	5,993
მშობელ კომპანიისადმი ვალები	15	-	5,943
სხვა აქტივები	16	1,813	1,460
ქონება და მოწყობილობები	17	617	958
არამატერიალური აქტივები		114	151
საგადასახადო აქტივები		588	545
ჩამოწერილი საგადასახადო აქტივი	18	-	1,537
აქტივები ჯამში		5,498	18,109
ვალდებულებები			
სესხები	19	503	16,292
სხვა ვალდებულებები	20	22,701	3,919
ვალდებულებები ჯამში		23,204	20,211
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		250	250
დაუფარავი ზარალი		(17,956)	(2,352)
ჯამური კაპიტალი		(17,706)	(2,102)
ვალდებულებები და კაპიტალი ჯამში		5,498	18,109

მთავარი გენერალური მენეჯერი

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2017 წლის 31 დეკემბერი

(ათასობით ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	ჯამი
2015 წლის 31 დეკემბერი	-	3,674	3,674
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	250	-	250
ჯამური მოცულობითი ზარალი წელიწადში	-	(6,026)	(6,026)
2016 წლის 31 დეკემბერი	250	(2,352)	(2,102)
ჯამური მოცულობითი დანაკარგი წელიწადში	-	(15,604)	(15,604)
2017 წლის 31 დეკემბერი	250	(17,956)	(17,706)

მთა გუგუშვილი



ფულადი ბრუნვას მდგომარეობა

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ბრუნვა საოპერაციო აქტივობებიდან:			
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(14,067)	(6,922)
რეგულირება:			
სესხის ზარალის უზრუნველყოფა	14	18,097	10,524
ცვეთა და ამორტიზაცია	11	199	220
საპროცენტო დანარიცხების წმინდა სხვაობა	6	(4,969)	(2,103)
წმინდა ზარალი/(მოგება) უცხოურ გაცვლით			
ოპერაციებში	9	(1,363)	1,172
წმინდა ზარალი ჩამოწერილი არამატერიალური			
აქტივებზე		25	-
ქონების და მოწყობილობების განკარგვის			
წმინდა ზარალი	10	128	62
ფულადი ბრუნვა ტრანზაქციებიდან			
სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე		(1,950)	2,953
(გაზრდა)/შემცირება საოპერაციო აქტივების:			
სამომხმარებლო სესხები		(13,252)	(14,571)
მშობელი კომპანიის სესხები		6,652	7,019
სხვა აქტივები		(353)	(1,154)
საგადასახადო აქტივები		(98)	(180)
ოპერაციული ვალდებულებების ზრდა:			
სხვა ვალდებულებები		19,687	1,125
ფულადი ბრუნვას შემოძინება/(გასავალი) საოპერაციო			
აქტივობებიდან დაბეგვრამდე		10,686	(4,808)
მიღებული პროცენტი		5,913	5,606
გადახდილი პროცენტი		(529)	(3,756)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(1,870)
ნაღდი ფულის შეძინება/(გასავალი)			
ოპერაციული აქტივობებიდან		16,070	(4,828)
საინვესტიციო აქტივობებიდან ფულადი ბრუნვა:			
ქონებისა და მოწყობილობების შესყიდვა		(55)	(807)
აღჭურვილობისა და ქონების გაყიდვიდან მიღებული			
მოგება		9	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		-	(71)
საინვესტიციო აქტივობებიდან წმინდა ფულადი			
ბრუნვის გასავალი		(46)	(878)
ფულადი ბრუნვა ფინანსური აქტივობებიდან:			
მოგება სესხებიდან		1,134	6,292
სესხის დაფარვა		(17,032)	(1,190)
ზრდა საწესდებო კაპიტალში		-	250
წმინდა ნაღდი ფულის შეძინება/(გასავალი) ფინანსური			
აქტივობებიდან		(15,898)	5,352
ნაღდი ფულის და ფულის ეკვივალენტის			
წმინდა ზრდა/(შემცირება)		126	(354)
ფულის მასა და ფულის ეკვივალენტები			
პერიოდის დასაწყისიდან		1,522	1,867
გაცვლითი კურსის ეფექტის ფლუქტუაციები			
ფულსა და მის ეკვივალენტებზე უცხოურ ვალუტებში		(373)	9
ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები წლის დასასრულს		1,275	1,522

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) კომპანია

შპს „ნეტ კრედიტი“ საქართველოში დარეგისტრირდა 2014 წლის 17 თებერვალს, რომემაც 2016 წლის 16 მარტს მას მიენიჭა ახალი სახელწოდება - შპს „Twino“ („კომპანია“).

2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 2016 წელს „კომპანია“ სრულად ფლობდა შპს „SIA Twino“, რომელიც რეგისტრირებულია და მოქმედებს ლატვიის კანონმდებლობის თანახმად. მისი რეგისტრაცია განხორციელდა 2015 წლის აგვისტოში და რომლის სარეგისტრაციო ნომერია - 40103919184. რეგისტრაციის მისამართია: მუკუსალას ქუჩა 41, რიგა LV-1004, ლატვია.

კომპანია თავის კლიენტებს სთავაზობს ორ მთავარ პროდუქტს:

- ხელფასამდე სესხს - ერთ თვემდე ვადის მოკლევადიან სესხებს
- განვადების სესხებს - გრძელვადიან სესხებს

2015 წლის 5 აგვისტოს შემდეგ კომპანია კლიენტებზე გაცემულ ყველა სესხს მიაწერს (ყიდის) სათაო კომპანიას, რომელიც მორგებულია ფიზიკურ პირებს შორის სესხების პლატფორმას ევროპის კავშირში და აწვდის ფინანსურ სახსრებს „SIA Twino“-ს და მის შვილობილ კომპანიებს („ჯგუფი“). ამ მიწერილ სესხებს, რომლებიც ხდება ვადაგადაცილებული, უკან გამოისყიდის კომპანია, 2015 წლის 31 აგვისტოს დადებული საკონტრაქტო ხელშეკრულების საფუძველზე, სესხის საბალანსო ღირებულებაზე დაბალ ფასად. სესხების მიწერა და ყველა დაკავშირებული ტრანზაქცია ხორციელდება OECD Transfer Pricing Guidelines-ის მიხედვით.

2016 წლის 31 დეკემბრისთვის და 2015 წელს „კომპანია“ სრულად კონტროლდება ერთი კერძო პირის მიერ - ბატონი არმანდს ბროკსის მიერ, რომელიც უფლებამოსილია წარმართოს კომპანიის და „ჯგუფის“ ტრანზაქციები თავისი შეხედულებისამებრ და თავის სასარგებლოდ.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია: გიორგი გეგეჭკორის ქუჩა N4, თბილისი, საქართველო.

ბ) ცვლილებები ქართულ კანონმდებლობაში

2016 წლის 29 დეკემბრის ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელთა მიხედვით, სასესხო ტრანზაქციების მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წლიურ 100%-მდე შეიზღუდა.

2. მომზადების ზაზისი

შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების“ და „საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების და განმარტებების“ (ერთობლივად IFRS) საფუძველზე.

კომპანია ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშებს წარმოადგენს ეროვნულ ვალუტაში (ლარში), „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების“ (IFRS) შესაბამისად, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიისთვის საანგარიშო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბრის.

ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული თანხები მრგვალდება ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი. ფინანსური ანგარიშგების IFRS-სის შესაბამისად მომზადება საჭიროებს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასების გამოყენებას. ის ასევე საჭიროებს მართებულ მიდგომას „კომპანიის“ საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ადგილები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მიდგომები განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში და მათი შედეგები გადმოცემულია განმარტება 4-ში.

ფინანსური მაჩვენებლების შეფასების პრინციპები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შესყიდვის ფაქტობრივი ღირებულების საფუძველზე.



მთა გეგეჭკო

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

მოქმედი საწარმო

კომპანიის წმინდა ზარალმა შეადგინა 15 604 ლარი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიის უარყოფითმა ბალანსმა შეადგინა 17 706 ლარი. ეს გარემოებები მიუთითებენ მნიშვნელოვანი გაურკვევლობის არსებობაზე, რაც ექვექცეშ აყენებს კომპანიის უნარს დარჩეს ქმედუნარიანი საწარმოდ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქმედუნარიანი საწარმოს პრინციპებით, რადგან პოლდინგურმა კომპანიამ შეათანხმა, რომ განახორციელოს უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა საჭიროების შემთხვევაში და არ უკუიხმოს თანხები იმდგვარად, რაც საფრთხეს შეუქმნის კომპანიის ლიკვიდობას და მომავალ ოპერაციებს.

ცვლილებები საბუღალტრო პოლიტიკაში

ა) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან

გაითვალისწინეთ, რომ სტანდარტებში შესულმა ცვლილებებმა, რომლებიც ხსენებული თარიღიდანაა ძალაში, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, განმარტებები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში.

შემდეგი ახალი სტანდარტები, განმარტებები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში და აქამდე არ შეუტანიათ ფინანსურ ანგარიშგებაში, იქონიებენ ან შეიძლება იქონიონ გავლენა კომპანიის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- IFRS 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.
- IFRS 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- IFRS 16 - იჯარები

IFRS 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. – 2014 წლის მაისში, IFRS 15 იქნა გამოშვებული, რომელიც ამკვიდრებს ერთადერთ ყოვლისმომცველ მოდელს, რომელიც კომპანიებმა უნდა გამოიყენონ კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების დათვლისას. IFRS 15 ჩაანაცვლებს შემოსავლების აღიარების მიმდინარე სახელმძღვანელოს, მათ შორის, „IAS 18 შემოსავლებს“, „IAS 11 სამშენებლო ხელშეკრულებებს“ და მათთან დაკავშირებულ განმარტებებს, როცა ისინი შევლენ ძალაში.

IFRS 15-ის ფუნდამენტური პრინციპი გახლავთ ის, რომ კომპანიამ უნდა აღიაროს შემოსავლები, რომ გამოსახოს დაპირებული საქონლის ან მომსახურებათა კლიენტისთვის მიწოდება იმ ღირებულებით, რომელიც ასახავს კომპანიის მოლოდინს ამ საქონლისა და სერვისების სანაცვლოდ. კონკრეტულად, სტანდარტი ადგენს ერთადერთ, პრინციპულ დაფუძნებულ ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელთა გამოყენებაც უნდა განხორციელდეს კლიენტთან დადებულ ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებით.

მოდელის ხუთი საფეხური შემდეგია:

- კლიენტთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება
- ხელშეკრულებაში შესრულების ვალდებულებების იდენტიფიცირება
- ტრანზაქციის ღირებულების განსაზღვრა
- ხელშეკრულებაში ტრანზაქციის ღირებულების გამოყოფა შესრულების ვალდებულებებისთვის
- შემოსავლების აღიარება, როცა კომპანია აკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას.

IFRS 15-ის მიხედვით, კომპანია აღიარებს შემოსავლებს, როცა შესრულების ვალდებულება კმაყოფილდება, ანუ, მაშინ, როცა საქონლისა და სერვისების მომსახურება, რომლებიც წარმოადგენს შესრულების საბაზისო ვალდებულებას, მიეწოდება კლიენტს. გაცილებით მეტი ნორმატიული მითითებები დაემატა ისეთ საკითხებს როგორებიცაა შემოსავლების აღიარება, გარდამავალი (ცვალებადი) გადახდების ბუღალტერია, ხელშეკრულების მოპოვების და შესრულების ხარჯები და სხვადასხვა დაკავშირებული საკითხები. ასევე, წარმოდგენილია ახალი ცნობები შემოსავლების შესახებ.

სტანდარტი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს, ადრე ნებადართული გამოყენებით. IFRS 15-თან მიმართებით გამოყენებულ შერჩეულ მიდგომაზე დაყრდნობით, გადასვლა შეიძლება მოიცავდეს ერთ ან ერთზე მეტ თარიღს თავდაპირველი გამოყენებისა სხვადასხვა მოთხოვნებისთვის.



მთა გუბუჩი

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

1. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები. IFRS 9 გამოუშვეს 2009 წლის ნოემბერში და მან წარმოადგინა ახალი მოთხოვნები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და აღრიცხვისთვის. შემდგომში, IFRS 9 შესწორდა 2010 წლის ოქტომბერში და მასში შევიდა მოთხოვნები ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და აღრიცხვისთვის და დერეკოგნაციისთვის. 2013 წლის ნოემბერში შევიდა ახალი მოთხოვნები ძირითადი ჰეჯირების ბუღალტერიისთვის. 2014 წლის ივლისში IASB-მა გამოსცა IFRS 9-ის საბოლოო ვერსია, რომელმაც ძირითადად წარმოადგინა ფინანსური აქტივების გაუფასურების სტანდარტები ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის შეზღუდული შესწორებები და ფინანსური აქტივების აღრიცხვის მოთხოვნები. IFRS 9-ის მიზანია შეცვალოს IAS 39 ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და აღრიცხვა.

IFRS 9-ის ძირითადი პარამეტრებია:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და აღრიცხვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ბიზნეს მოდელის გათვალისწინებით, რომელსაც ისინი ეკუთვნის და მათი საკონტრაქტო ფულადი ბრუნვის თავისებურებების გათვალისწინებით. კონკრეტულად, ვალის ინსტრუმენტები, რომლებიც ჩადებულია ბიზნეს მოდელში, რომელთა მიზანია შეკრიბოს საკონტრაქტო ფულადი ბრუნვები და რომელთაც აქვთ საკონტრაქტო ფულადი ბრუნვები, რომლებიც წარმოადგენენ პრინციპალის ერთპიროვნულ გადასახდელებს და პრინციპალის მიერ წარდგენილ საპროცენტო ინტერესს, რომელიც ძირითადად გამოთვლილია ამორტიზირებული ღირებულებაზე, საწყისი აღიარებიდან. IFRS 9-ის 2014 წლის ვერსია აწესებს ნაღდ ღირებულებას სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის კატეგორიის გზით ვალის ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც არსებობს ბიზნეს მოდელის შიგნით, რომლის მიზანაც მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ბრუნვების შეკრებით და ფინანსური აქტივების გაყიდვით, რომელთაც აქვთ ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც განსაზღვრულ თარიღებში ზრდიან ფულად დინებებს, რომლებიც მხოლოდ შედგება ძირითადი თანხის და ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტების გადახდით, რომლებიც იზომება რეალური ღირებულებით სხვა ყოვლისმომცველი შემოსავლის საშუალებით, თავდაპირველი აღიარების შემდეგ. ყველა სხვა ვალი და კაპიტალდაბანდები იზომება მათი რეალური ღირებულებით. დამატებით, IFRS 9-ის მიხედვით, კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ შეუვალი გადაწყვეტილება სხვა ყოვლისმომცველ შემოსავალში სააქციო კაპიტალდაბანდების (რომლებიც არ გამოიყენება ვაჭრობისთვის) ნამდვილ ღირებულებაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ, მხოლოდ დივიდენდის შემოსავლებით, რომლებიც, უმთავრესად ითვლება როგორც მოგება ან ზარალი.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და აღრიცხვა.** ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია ხორციელდება იმავე სახით, IAS 39-ის შესაბამისად, მაგრამ არსებობს განსხვავებები იმ მოთხოვნებში, რომლებიც ვრცელდება კომპანიის საკრედიტო რისკის აღრიცხვაზე. IFRS 9 აწესებს, რომ ფინანსური ვალდებულების ნამდვილ ღირებულებაში განხორციელებული ცვლილების ოდენობა, რომელიც მიემართება ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებს, წარმოდგენილია სხვა საყოველთაო შემოსავალით, თუ OCI-ში ვალდებულების საკრედიტო რისკში განხორციელებული ცვლილებების გაყიდვის აღიარება არ შექმნიდა ან გაზრდიდა მოგების ან ზარალის საბუღალტრო შეუსაბამობას. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკის ნამდვილ ღირებულებაში განხორციელებული ცვლილებები შემდგომში არ რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.
- **ჰეჯირების ბუღალტერია** - აწესებს ჰეჯირების ბუღალტერიის ახალი მოდელს, რომლის მიზანაცაა უფრო მჭიდროდ მოერგოს კომპანიებს, რომლებიც ახორციელებენ რისკების მენეჯმენტს ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირების პროცესში. IFRS 9-ის მიხედვით, უფრო დიდი მოქნილობა წესდება ტრანზაქციების იმ ტიპებისთვის, რომლებიც შეესაბამება ჰეჯირების ბუღალტერიას, და განსაკუთრებით აფართოებს ინსტრუმენტების იმ ტიპს, რომლებიც აკმაყოფილებენ ჰეჯირების ინსტრუმენტების და არაფინანსური მუხლების რისკ კომპონენტების ტიპებს, რომლებიც შეესაბამება ჰეჯირების ბუღალტერიას. დამატებით, ეფექტურობის ტესტი იქნა შესწორებული და იგი შეიცვალა „ეკონომიკური ურთიერთობის“ პრინციპით. ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტული შეფასება მეტად აღარ არის საჭირო. ასევე, დაწესდა კომპანიის რისკების მენეჯმენტის შესახებ გაფართოებული ფინანსური ანგარიშის გასაჯაროების მოთხოვნები.
- **დერეკოგნაცია** - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დერეკოგნაციის მოთხოვნები გამომდინარეობს IAS 39-დან.

სტანდარტი ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, ნებადართული ადრეული გამოყენებით. გამოყენებით. IFRS 15-თან მიმართებით გამოყენებულ შერჩეულ მიდგომაზე დაყრდნობით. გადასვლა შეიძლება მოიცავდეს ერთ ან ერთზე მეტ თარიღს თავდაპირველი გამოყენებისა სხვადასხვა მოთხოვნებისთვის.

მთარგმნელობითი კომპანია
Translation Company
TranslateService
მობ./Mob.: +995 568 00 55 77
ოფისის ტელ./Office Tel.: +995 (32) 299 05 77
ელ.ფოსტა/E-mail: contact@translateservice.ge
ვებ-გვერდი/Web-site: www.translateservice.ge

მთა ფაქიშვილი

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

IFRS 16 იჯარა. 2016 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა IFRS 16. IFRS 16 აბათილებს IAS 17 იჯარას, IFRIC 4, რომელიც განსაზღვრავს თუ რამდენად მოიცავს ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - ლგოტის და SIC-27 ტრანზაქციების არსის შეფასება იჯარის იურიდიული ფორმის ჩართვით.

მეიჯარის მიმართ არსებული ანგარიშგების მოთხოვნები უმეტესწილად შეუცვლელად გადავიდა IAS 17-დან. ეს ნიშნავს, რომ მეიჯარე განაგრძობს იჯარის საოპერაციო ან ფინანსურ კლასიფიცირებას. ძირითადი ცვლილებები ეხება მოიჯარეებს, IFRS 16-ით, სადაც მოცემულია ერთადერთი მოდელი მოიჯარეებისათვის, რომელიც გამოირიცხავს განსხვავებას საოპერაციო და ფინანსურ იჯარებს შორის, და ასევე ფინანსური სტატუსის ანგარიშს, რომელიც გამოსახავს „გამოყენების უფლების“ აქტივს და შესაბამის ვალდებულებას საიჯარო ხელშეკრულებების უმრავლესობისთვის. აქტივი შემდგომში აღირიცხება, როგორც საკუთრება, საწარმო და აღჭურვილობა ან საინვესტიციო საკუთრება და ვალდებულება იფარება საპროცენტო მაჩვენებლის გამოყენებით, რომელსაც იჯარის ხელშეკრულება მოიცავს. თუმცა, ორგანიზაციებს საშუალება აქვთ ფინანსური სტატუსის ანგარიშში არ შეიტანონ მოკლევადიანი იჯარები (მაგალითად, რომელსაც აქვს 12 თვის ან ნაკლები ვადა) და დაბალი ღირებულების ერთეულების იჯარები.

შედეგად, არსებული კითხვა არის თუ არა იჯარა საოპერაციო თუ ფინანსური იჯარა არსებული ხელმძღვანელობის შესაბამისად, იცვლება კითხვით - რამდენად აძლევს შეთანხმება ბიძგს იჯარის განმარტების განსაზღვრას. IFRS 16-ის მოქმედების სფერო ფართოა და ზოგიერთმა შეთანხმებამ, რომელიც მოიცავს აქტივების გამოყენებას, რაც განიხილება, როგორც სერვის კონტრაქტები (რომელიც აღსრულებადია და არ აღირიცხება ფინანსური პოზიციის ანგარიშში), შედეგად შესაძლოა გამოიწვიოს IFRS 16-ის მოქმედება. ახალ რეგულაციებთან შესაბამისობისათვის, საჭიროა სისტემებისა და პროცესების მნიშვნელოვანი ცვლილებები.

შემოსავლის ანგარიშში, IFRS 16-ის გამოყენება გამოიწვევს ცვლილებას ხარჯს (საოპერაციო ხარჯების ფარგლებში) და საპროცენტო ხარჯს. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლთა დაირიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე, მთლიანი ხარჯი იჯარის პირველ ნაწილზე უფრო მეტი იქნება გვიან პერიოდებთან შედარებით, ვინაიდან იჯარის ვალდებულება და დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი უფრო მეტია.

IFRS 16 ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, წინასწარი დაშვებული მოქმედებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ IFRS 15 უკვე მიღებულია.

IFRS 15 კლიენტებთან არსებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლები, IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტები და IFRS 16 იჯარების გავლენა ჯერ კიდევ შესაფასებელია, ვინაიდან აღნიშნულმა ახალმა სტანდარტებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ კომპანიის სამომავლო ფინანსურ ანგარიშებზე.

მაია გუგუშვილი



შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები ვრცელდება აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, რაც მოცემულია ქვემოთ. წინამდებარე პოლიტიკები თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ წელზე, თუკი ეს სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

IAS 39-ის ფარგლებში, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის, სესხების და დებიტორული დავალიანების, დასაფარი ინვესტიციების, ან გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანია განსაზღვრავს თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას საწყის აღიარებაში.

სამართლიანი ღირებულება მოგებით ან ზარალით

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში, როცა ფინანსური აქტივი დაკავებულია ვაჭრობისთვის ან განკუთვნილია სამართლიანი ღირებულებისთვის, მოგების ან ზარალის საშუალებით. ისინი გაცხადებულია სამართლიანი ღირებულებით, ნებისმიერი ნამატით ან ზარალით, რომელიც წარმოიშობა აღიარებული მოგების ან ზარალის გადაფასების შედეგად.

კომპანია არ ფლობს გასაყიდ აქტივებს, არც ნებაყოფლობით არ ახდენს რომელიმე ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას სამართლიანი ღირებულებაზე მოგების ან ზარალის მეშვეობით.

დაკავებული ინვესტიციები დაფარვამდე

არა-წაწარმოები ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადასახადით, და ფიქსირებული დაფარვის ვადა, კლასიფიცირდება, როგორც დაკავებული დაფარვამდე, როცა კომპანიას აქვს პოზიტიური განზრახვა და უნარი დააკავოს ისინი ვადის გასვლამდე. კომპანიას არა აქვს დაკავებული რაიმე ინვესტიციები ვადის გასვლამდე.

სესხები და დავალიანება

აღნიშნული აქტივები წარმოადგენს არა-წარმოებად ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრებადი გადასახადით, რომელიც არ არის რეგისტრირებული არსებულ ბაზარზე. ისინი თავიდან აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით პლიუს ტრანზაქციის ხარჯები, რაც პირდაპირ უკავშირდება მათ მიღებას ან გამოცემას და თანმიმდევრულად საბალანსო ამორტიზებულ ღირებულებას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

გასაყიდად ხელმისაწვდომი

არა-წარმოებად ფინანსური აქტივები არ არიან ჩართული ზემოთ მოცემულ კატეგორიებში და კლასიფიცირდებიან, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, მოიცავენ კომპანიის სტრატეგიულ ინვესტიციებს იმ ერთეულებში, რომლებიც არ წარმოადგენენ შვილობილ კომპანიებს, პარტნიორებს ან საერთო კონტროლის ორგანიზაციებს, ასევე, კორპორაციულ გაერთიანებებს. ისინი ხორციელდებიან სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ზოგადი ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში და აკუმულირებულია გასაყიდად ხელმისაწვდომ რეზერვში. მაშინ როცა გასაყიდად ხელმისაწვდომი აქტივების სამართლიანი ღირებულებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი კლება (რაც წარმოადგენს გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, მათ შორის, მანამდე აღიარებული სრული შემოსავლის ნებისმიერი თანხა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივების შესყიდვა და გაყიდვა აღიარებულია გარიგების დროს, სამართლიანი ღირებულების ცვლილება ვაჭრობისა და გარიგების თარიღებს შორის აღიარებულია გასაყიდად ხელმისაწვდომ რეზერვში. გაყიდვისას, კუმულაციური ნამატი ან ზარალი აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში, რეკლასიფიცირებულია გასაყიდად ხელმისაწვდომი რეზერვიდან, მოგებაზე ან ზარალზე. კომპანია არ ფლობს აქტივებს, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია გააუქმებს ფინანსური აქტივების აღიარებას როცა (ა) აქტივების ვადა ან აქტივებიდან ფულადი ბრუნვას მიღების ვადა სხვაგვარად იწურება ან (ბ) კომპანიამ გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ბრუნვას უფლებები ან გააფორმა კვალიფიციური გარდამავალი შეთანხმება, ასევე, (ი) გადასცა აქტივების მფლობელობის ყველა არსებითი რისკი და სარგებელი, მაგრამ ინარჩუნებს კონტროლის უფლებას. კონტროლი შენარჩუნებულია, თუკი მეორე მხარეს არა აქვს მთლიანი აქტივის მესამე მხარეზე გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვის დაწესების გარეშე.



მაია გუგუშვილი

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ეს შეესაბამება კომპანიისა და კლიენტების ანგარიშებს. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად იზომება სამართლიანი ღირებულებით, წმინდა ტრანზაქციის ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შედეგად იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, სადაც საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ფაქტური შემოსავლის საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების და შესაბამის პერიოდზე გამოყოფილი საპროცენტო ხარჯის ამორტიზებული ღირებულების დათვლის მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც პირდაპირ აკლავს სამომავლო ფულად გადახდებს, ფინანსური ვალდებულების მიახლოებითი ხანგრძლივობის შესაბამისად, ან (საჭიროებისამებრ) მოკლე პერიოდის, წმინდა საბალანსო ღირებულებით თავდაპირველი აღიარებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია გაუქმებს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას მაშინ, და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანიის ვალდებულებები იფარება, უქმდება ან ამოიწურება. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვებულია სხვა რაიმეთი იმავე მსესხებლის მიერ, არსებითად განსხვავებული პირობების შესაბამისად, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, მსგავსი ურთიერთგაცვლა ან შეცვლა ითვლება საწყისი ვალდებულების აღიარების გაუქმებად და ახალი ვალდებულების აღიარებად. განსხვავება აღიარება გაუქმებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის, აღიარებულია მოგება-ზარალში.

(გ) კომპენსაცია

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კომპენსირდება, და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წმინდა თანხა მოცემულია მაშინ, როცა არსებობს კანონიერად აღსრულებადი უფლება, რომ ანაზღაურდეს აღიარებული თანხები, და არსებობს განზრახვა, რომ დარეგულირდეს წმინდა საფუძველზე ან მოხდეს აქტივის რეალიზება და ვალდებულება მაშინვე დარეგულირდეს.

(დ) IFRS 13 სამართლიანი ღირებულების აღრიცხვის იერარქია

IFRS 13 მოითხოვს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც მოითხოვს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას, რომელიც იზომება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით, რაც ასახავს საწყისი საბაზრო პარამეტრების მნიშვნელობას სამართლიანი ღირებულების გამოთვლის დროს. სამართლიანი ღირებულების იერარქიას აქვს რამდენიმე დონე:

- გამოცხადებული ფასები (არა-რეგულირებული) იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
- გამოცხადებული ფასების გარდა, საწყისი საბაზრო პარამეტრები, რომელიც მოიცავს 1-ლ დონეს, რომელიც შეინიშნება აქტივის ან ვალდებულებისათვის, პირდაპირ (მაგალითად, ფასები) ან არაპირდაპირ (მაგალითად, ფასებიდან გამომდინარე) (მე-2 დონე); და
- აქტივის ან ვალდებულების საწყისი საბაზრო პარამეტრები, რომლებიც დაფუძნებულია არსებულ საბაზრო მონაცემებზე (უხილავი საწყისი საბაზრო პარამეტრები) (მე-3 დონე).

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონე, რომელზეც კატეგორიზებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება, განისაზღვრება უდაბლესი დონის საწყისი საბაზრო პარამეტრების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების გამოთვლისთვის. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები მთლიანად კლასიფიცირდება სამი დონიდან რომელიმე ერთზე.

კომპანიას არ აქვს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, რომელიც გაზომილია სამართლიანი ღირებულების მიხედვით; შესაბამისად, ეს არ არის წარმოდგენილი IFRS 13-ის სამართლიანი ღირებულების აღრიცხვის იერარქიაში.

შპს
TWINO

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერა (გაგრძელება)

(ე) აქტივების ცვეთა, რომლებიც ატარებენ ამორტიზებულ ხარჯს

გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, რომელიც ირიცხება ერთი ან რამდენიმე შემთხვევის („ზარალის შემთხვევები“) შედეგად, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ და რომელზეც გავლენა მოახდინა თანხაზე ან ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის მიხედვით სამომავლო ფულადი ბრუნვას ვადებზე, რომლებიც შესაძლოა საიმედოდ გამოითვალოს. ძირითადი ფაქტორები, რის გამოც კომპანია განიხილავს გაუფასურებას თუ არა ფინანსური აქტივი, არის მისი ვადაგასული სტატუსი და მასთან დაკავშირებული უზრუნველყოფის რეალიზაციის შესაძლებლობა, არსებობის შემთხვევაში.

ასევე გამოიყენება, შემდეგი სხვა პრინციპული კრიტერიუმები, რომ განისაზღვროს ობიექტური მტკიცებულება გაუფასურების ზარალის დაფიქსირებისას:

- ნებისმიერი გადახდა ვადაგასულია და დაგვიანებული გადახდა არ უკავშირდება დაგვიანებას, რაც გამოწვეულია ანგარიშგების სისტემებით;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეს, როგორც ეს ჩანს მსესხებლის ფინანსურ დოსიეში, რომელსაც კომპანია ფლობს;
- მსესხებელი მხედველობაში იღებს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- მსესხებლის გადახდის სტატუსში უარყოფითი ცვლილება, რაც გამოწვეულია ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ცვლილების გამო, რამაც გავლენა მოახდინა მსესხებელზე;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირებულია საბაზრო პირობების გაუარესების გამო.

ცვეთა გამოითვლება იმ აქტივების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ექვემდებარება რისკებს და, მენეჯმენტის მოსაზრებით, ეს საკმარისი თანხა შესაძამისი ზარალის დასაფარად. ნორმები განვითარდა რისკებს დაქვემდებარებული აქტივების ინდივიდუალური შეფასების შედეგად, ინდივიდუალურად მატერიალური ფინანსური აქტივების მიმართებით და იმ ფინანსური აქტივების ინდივიდუალური ან ჯგუფური შეფასების საფუძველზე, რომელიც არ არის ინდივიდუალურად მატერიალური; გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიხედვით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ბრუნვა, რომლებიც ჯგუფურად შეფასებულია გაუფასურების მიმართებით, გამოთვლილია საკმარისი ისტორიული დანაკარგის გამოცდილების და ვადაგადაცილებული თანხების წარმატებით დაფარვის საფუძველზე. ისტორიული გამოცდილება მოდიფიცირებულია მიმდინარე არსებული მონაცემების საფუძველზე, არსებული პირობების ეფექტის ასახვისათვის, რაც გავლენას ახდენს გასული პერიოდების და ძველი პირობების ეფექტების ჩანაცვლებაზე, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. თუკი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები, რომელიც დაკავებულია ამორტიზებული ღირებულებით, გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან გაყიდვის ფინანსური სირთულეების გამო, ცვეთა გამოითვლება საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, პირობების შეცვლამდე.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია საექვო ვალების რეზერვის საშუალებით, აქტივის საბალანსო ღირებულების შესამცირებლად მოსალოდნელი ფულადი ბრუნვას არსებულ ღირებულებამდე (რომელიც გამოირიცხავს სამომავლო კრედიტის დანაკარგს, რომელიც არ არის დარიცხული), აქტივის საწყის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე ფასდაკლებაზე. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სავარაუდო, სამომავლო ფულადი ბრუნვას არსებული ღირებულების კალკულაცია გამოსახავს ფულად ნაკადს, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას გამოსყიდვის უფლების წართმევის გამო ხარჯის გამოკლებით, უზრუნველყოფის მიღების ან გაყიდვის გამო, მიუხედავად იმისა გამოსყიდვის უფლება შესაძლებელია თუ არა.

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტი

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტებია ერთეულები, რომლებიც მზადაა კონვერტაციისთვის ნაღდი ფულის უკვე ცნობილ მოცულობაზე, და რომელიც ექვემდებარება ღირებულების უმნიშვნელო ცვლილებების რისკს. ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ექვივალენტები მოიცავს თანხას ხელზე, და საბანკო დეპოზიტებს ან დებიტორულ დავალიანებებს, დაფარვის სამ თვეზე ნაკლები ხანგრძლივობით. რესურსები, რომლებიც შეზღუდულია წარმოშობიდან სამ თვეზე მეტი პერიოდით, გამოირიცხება ნაღდი ფულიდან და ნაღდი ფულის ექვივალენტებიდან.

საკუთრება, აღჭურვილობა და ხელშეუხებელი აქტივები

საკუთრება, აღჭურვილობა და ხელშეუხებელი აქტივები გამოსახულია საწყის ღირებულებაში აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და აღიარებული გაუფასურების გამოკლებით, არსებობის შემთხვევაში. ცვეთა ირიცხება საკუთრების, აღჭურვილობის და ხელშეუხებელი აქტივების საბალანსო ღირებულებაზე და ექვემდებარება ჩამოწმას, აქტივების სასარგებლო ეკონომიკური ხანგრძლივობის მანძილზე. ცვეთა/ამორტიზაცია გამოითვლება 5 წლის მანძილზე, წრფივი მეთოდის საფუძველზე. საკუთრების, აღჭურვილობის და ხელშეუხებელი აქტივების საბალანსო თანხები გადაიხედება თითოეული ანგარიშგების დროს, რათა შეფასდეს რამდენად აღრიცხულია ეს მათი ანაზღაურებადი თანხების ნაშთში. ანაზღაურებადი თანხა შეტია სამართლიან ღირებულებაზე გაყიდვის ხარჯების და გამოყენების ღირებულების გამოკლებით.



თბილისი გიორგი

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ შემოსავლებს. დივიდენდები ირიცხება კაპიტალში მათი დეკლარირების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსურ ანგარიშამდე დეკლარირებული ნებისმიერი დივიდენდი შზად არის გამოსაშვებად და აისახება სააღრიცხვო თარიღების შემდეგ განმარტებებში.

უზრუნველყოფა, გაუთვალისწინებელი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი აქტივები

უზრუნველყოფა არის გაურკვეველი დროის ან ოდენობის ვალდებულება. ვალდებულება არის კომპანიის მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება გარდასული გარემოებებიდან, რომელთა რეალიზებამაც, მოსალოდნელია, კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალი განაპირობოს. დამავალდებულებელი გარემოება არის გარემოება, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც კომპანიას არ აქვს ამ ვალდებულების დაფარვის რეალისტური ალტერნატივა. ლეგალური ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც მომდინარეობს:

- ხელშეკრულებიდან (ღია და ფარული პირობების გზით);
- კანონმდებლობიდან; ან
- ან კანონის სხვა მოქმედებიდან.

კონსტრუქციული (ნებაყოფლობითი) ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა კომპანიის მოქმედებებიდან, როცა:

- კომპანიამ სხვა მხარეებს განუცხადა, რომ ის მიიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს, წარსული პრაქტიკის დამკვიდრებული ნიმუშით, გამოქვეყნებული (გაცხადებული პოლიტიკით) ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განცხადებით.
- კომპანიამ შექმნა საფუძვლიანი მოლოდინი სხვა მხარეთა მიმართებით, რომ ის შეასრულებს ვალდებულებებს;

ტერმინი „გაუთვალისწინებელი პასუხისმგებლობა“ აღნიშნავს ვალდებულებებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარებით კრიტერიუმებს. საბუღალტრო პოლიტიკა განარჩევს:

- გარანტიებს - რომლებიც აღიარებულია, როგორც პასუხისმგებლობები (იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელია გაკეთდეს საიმედო შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენს მიმდინარე ვალდებულებებს და, შესაძლებელია, ვალდებულებების დასაფარად, ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალი გახდეს საჭირო; და
- გაუთვალისწინებელი ვალდებულებები - რომელთაც არ მიიჩნევენ ვალდებულებებად, რადგან ისინი არის ან:
 - შესაძლო ვალდებულებები, რადგან საჭიროა დადასტურდეს კომპანიას აქვს თუ არა მიმდინარე ვალდებულება, რომელიც გამოიწვევდა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალს; ან
 - მიმდინარე ვალდებულებები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ამ სტანდარტით განსაზღვრულ აღიარების კრიტერიუმებს (რადგან ან არ ივარაუდება, რომ ვალდებულების დასაფარად ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალი იქნება საჭირო, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საკმარისად საიმედოდ შეფასება).

გაუთვალისწინებელი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეკონომიკური სარგებლის გასავალი შეიძლება დაიწყოს და შესაძლებელია ასეთი ვალდებულებების თანხის საიმედოდ აღრიცხვა. ინფორმაცია გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესახებ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასავალი.

გაუთვალისწინებელი ვალდებულებები შეიძლება აღმოცენდეს მოულოდნელი გზით. ამიტომაც, მათი შეფასება ხდება მრავალჯერადად, რათა განისაზღვროს შესაძლებელი გახდა თუ არა ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასავალი. თუ ეს შესაძლებელი გახდა, მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასავალი გახდება საჭირო იმ მუხლისთვის, რომელიც ადრე წარმოადგენდა გაუთვალისწინებელ ვალდებულებას, უზრუნველყოფა აღიარებულ იქნება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებში, რომელშიც შესაძლებლობის ცვლილება ხდება (გარდა, მეტისმეტად გამონაკლისის გარემოებებისა, სადაც შეუძლებელია საიმედო შეფასების გაკეთება).

გაუთვალისწინებელი აქტივები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებში, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ მელავენდება, როცა შესაძლებელი ხდება ეკონომიკური სარგებლის შემოღინება. თუ ეკონომიკური სარგებელი დანამდვილებით მოსალოდნელია, აქტივი და მასთან დაკავშირებული შემოსავალი აისახება ფინანსურ ანგარიშგებში იმ წლისთვის, როცა მოხდა შეფასების ცვლილება.



მთა გუგუშვილი

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

ხარჯების აღიარება

ხარჯები აისახება მთლიანი შემოსავლის ანგარიშში თუ წარმოიქმნება მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან. საჭიროა, შესაძლებელი იყოს მათი საიმედო შეფასება.

ხარჯები მთლიანი შემოსავლის ანგარიშში აისახება დაუყოვნებლივ თუ ხარჯები არ იწვევს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს მეტად ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აღიარების მოთხოვნებს, როგორც აქტივი საბალანსო უწყისში.

საოპერაციო ღირებულება

თუ კომპანია წარმოადგენს დამკირავებელს ისეთ სალიზინგო გარიგებაში, რომელიც მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და მოგებას არ გადასცემს გამკირავებელიდან კომპანიაზე, სალიზინგო გარიგების მთლიანი გადახდები დაეწერება წლიურ მოგებას ან ზარალს თანაბარზომიერად სალიზინგო ვადის განმავლობაში. ეს სალიზინგო ვადა წარმოადგენს დროის პერიოდს, რომლის შეწყვეტაც შეუძლებელია და ამ პერიოდის განმავლობაში მოიჯარე დებს ხელშეკრულებას აქტივის იჯარით ალების შესახებ, სხვა შემდგომ პირობებთან ერთად, რომელთა მიმართებაშიც მოიჯარეს შეუძლია გააგრძელოს აქტივის იჯარა, შემდგომი გადახდით ან მის გარეშე, მაშინ, როცა იჯარის დასაწყისში გონივრულად გარკვეულია, რომ მოიჯარე გამოიყენებს არჩევით შესაძლებლობას.

ხელფასები და დასაქმებულთა სხვა ბენეფიტები

ხელფასები, ანაზღაურება, ბონუსები და არაფულადი ბენეფიტები წარმოიქმნება იმ წელიწადში, რომელშიც შესაბამის მომსახურებას გასწევნ კომპანიის თანამშრომლები.

საანგარიშო თარიღის შემდგომი გარემოებები

საანგარიშო პერიოდის შემდგომი გარემოებები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის დღემდე არსებული გარემოებები, რომლებიც შეიცავენ დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ჩართულია ფინანსურ ანგარიშგებში. პოსტ საბალანსო უწყისის ფაქტები, რომლებიც არ ისახება კომპანიის ფინანსურ პოზიციასზე საბალანსო უწყისის დღეს, მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უცხოური ვალუტის გადათვლა

ფინანსურ ანგარიშგებში ჩართული ობიექტები იზომება პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტით, რომელშიც კომპანია საქმიანობს („ფუნქციონალური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ და საპრეზენტაციო ვალუტას.

მონეტარული აქტივების და ვალდებულებების გადათვლა ხორციელდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების განხორციელებისას და მონეტარული აქტივების და ვალდებულებების გადაფასებისას კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აისახება მთლიანი შემოსავლის ანგარიშში. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით განხორციელებული გადაფასება არ ვრცელდება არამონეტარულ მუხლებზე, მათ შორის, ინვესტიციებზე სააქციო კაპიტალში. სააქციო ფასიანი ქაღალდების რეალურ ღირებულებაზე მოქმედი გაცვლითი კურსის ცვლილებების ეფექტები აისახება როგორც რეალური ღირებულების გადაფასებით გამოწვეული მოგება ან ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის გამოცხადებულ გაცვლით კურსს

					USD/GEL	EUR/GEL
გაცვლითი კურსი	2017 წლის 31				2.5922	3.1044
დეკემბერს						
გაცვლითი კურსი	2016 წლის 31				2.6468	2.7940
დეკემბერს						



მათი მომსახურება

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

4. არსებითი საბუღალტრო (სააღრიცხვო) შეფასებები და მოსაზრებები

კომპანია მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით გარკვეულ გათვლებს და შეფასებებს ახორციელებს. შეფასებები და გათვლები მრავალჯერადად კეთდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, მომავალ მოვლენებთან დაკავშირებულ მოლოდინებზე დაყრდნობით, რომლებიც მიიჩნევა გონივრულად არსებულ სიტუაციაში. მომავალში არსებული გამოცდილება და სინამდვილე შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისა და დათვლებისგან. ეს შეფასებები და დათვლები მომავალ ფინანსურ წელში აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მატერიალური ცვლილების გამოწვევის მნიშვნელოვან რისკს შეიცავს და ისინი განხილულია ქვემოთ.

სესხების და დებეტის გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად აანალიზებს თავის სასესხო პორტფელს აქტივების გაუფასურების შესაფასებლად. იმის დადგენისას აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი უნდა ჩაიწეროს თუ არა საშემოსავლო ანგარიშში, კომპანია აანალიზებს არსებობს თუ არა რაიმე ხელშეწყობები მონაცემები იმის შესახებ, რომ მომავალი სავარაუდო ფულადი ბრუნვების სასესხო პორტფელიდან გამოთვალადი (შეფასებადი) კლება არსებობს მანამ, სანამ ამ პორტფელში ინდივიდუალური სესხის კლება დაფიქსირდება. ეს მტკიცებულება შეიძლება შეიცავდეს ხელშეწყობებს მონაცემებს იმაზე მითითებით, რომ არსებობს შესხვებელთა საგადასახდელი სტატუსის, ან ეროვნული ან ლოკალური ეკონომიკური პირობების არასახარბიელო ცვლილება, რომლებიც ურთიერთქმედებენ კომპანიაში წარუმატებელ აქტივებთან. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ სესხზე ან დებეტის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი წარმოიშვა, ზარალის ზომა იზომება როგორც განსხვავება სესხის ან დებეტის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი სავარაუდო ფულადი ბრუნვების მიმდინარე ღირებულებას შორის, მათ შორის, თანხები მიღებული, ფასდაკლებული სესხებიდან ან თანხები ეფექტური საპროცენტო განაკვეთიდან. მომავალი ფულადი ბრუნვების ოდენობისა და დროის შესაფასებლად გამოყენებული მეთოდოლოგია და შეფასებები ფასდება რეგულარულად, რათა შემცირდეს ზარალის შეფასებასა და რეალურ ზარალის გამოცდილებას შორის არსებული განსხვავება.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

იქ, სადაც აუცილებელია, შესაბამისი ციფრები გადათვლილია მიმდინარე წლის თანხებთან შესათანხმებლად. რეკლასიფიკაციის შედეგი შემდეგია:

	თავდაპირველი წარდგენა 2016 წლის 31 დეკემბერი	რეკლასიფიკაცია	2016 წლის 31 დეკემბრის წარდგენა
ანგარიში ფინანსური მდგომარეობის შესახებ			
ნაღდი ფული და ნაღდი ფულის გვერდობები	443	1,079	1,522
სესხები კლიენტებს	6,047	(54)	5,993
სათბო კომპანიისთვის მიწერილი სესხები	27 721	(21,778)	5,943
სხვა აქტივები	2 484	(1,024)	1,460
სხვა ვალდებულებები	25 696	(21,777)	3,919
ანგარიში მილიანი შემოსავლის შესახებ			
სხვა შემოსავალი, წმინდა	2,111	(2,108)	3
საოპერაციო ხარჯები	(14,378)	2,108	(12,270)

თავდაპირველი გადახდის შემდეგ დაახლოებით ორი დღე ჰქონდა ნაღდი ფულის კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადასარიცხად. წლის ნებისმიერ დროს არსებობს ფულის გარკვეული ოდენობა, რომელთაც იხდიან კლიენტები, მაგრამ ჯერ არ ისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე. ასეთი თანხა 1 079 ლარის ოდენობით 2016 წლის 31 დეკემბრისთვის თავდაპირველად კლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები. კომპანიამ განახორციელა აღნიშნული კლასიფიკაციის სიზუსტის გადაფასება და მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენის ისინი, როგორც გზაში მყოფი (გადარიცხვის პროცესში მყოფი) ნაღდი ფული.

2017 წელს მეწილეებმა გადაწყვიტეს, რომ გადაეხადათ და მიეღოთ შიდა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ურთიერთჩათვლის მეთოდით. შედეგად, კომპანიამ განახორციელა 21 781 ლარის ღირებულების ფინანსური კრედიტორული და დებიტორული ვალდებულებების ჩათვლა IAS 32 მოთხოვნების შესაბამისად.

„ქოლ ცენტრის“ მომსახურების უზრუნველყოფის საშუალებით გენერირებული შემოსავალი/ხარჯები ახლა წარმოჩნდება, როგორც სხვა შემოსავალი ურთიერთჩათვლის საფუძველზე.



მთა მთა

6. წმინდა ფინანსური შემოსავალი ცვეთამდე
მიღებული ფინანსური შემოსავალი:

	2017	2016
გამოსყიდული მშობელი კომპანიის	5,825	4,281
სესხებიდან მიღებული ნაშატი ღირებულება	31	1,209
ჯარიმები და საკომისიოები:	5,856	5,490
ჯამური ფინანსური შემოსავალი:		

მიღებული ფინანსური შემოსავალი:

აფილირებული მხარეების სესხებიდან	(846)	(3,320)
სხვა ფინანსური ინსტიტუტების სესხებიდან	(41)	(67)
ჯამური ფინანსური შემოსავალი	(887)	(3,387)

წმინდა ფინანსური შემოსავალი გაუფასურების

დანაკარგების უზრუნველყოფამდე	4,969	2,103
------------------------------	-------	-------

7. სამენეჯმენტო სესხებზე საკომისიო გადასახადი, წმინდა

„კომპანია“ უზრუნველყოფს მშობელ კომპანიის მიერ გამოშვებული სესხებს მენეჯმენტს. ამ საქმიანობიდან მიღებული მოგება აღირიცხება, როგორც კრედიტის მართვიდან შემოსული შემოსავალი. „კომპანიის“ მართვა ხორციელდება მენეჯმენტის საფასურის გადახდით, შემოსავალზე ორიენტირებული „კომპანიის“ მოსალოდნელი მომგებიანობის თვალსაზრისით.

8. უიმედო ვალების გაყიდვით მიღებული მოგება, წმინდა

	2017	2016
გასაყიდი ფასი	1,705	226
ჯამური გასაყიდი ფასი:	1,705	226
გაცემული სესხების სრული ოდენობა	(16,783)	(1,335)
გაყიდული სესხების		
უზრუნველყოფის საერთო ოდენობა	15,457	1,129
უზრუნველყოფილი სესხების წმინდა ღირებულება	(1,326)	(206)
ჩამოწერილი სესხების გაყიდვით მიღებული		
წმინდა მოგება	379	20

9. უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული მოგება/(ზარალი),
წმინდა

	2017	2016
უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული მოგება	3,553	2,355
უცხოური გაცვლითი კურსიდან მიღებული ზარალი	(2,190)	(3,527)
უცხოური გაცვლითი კურსიდან მოგება/(ზარალი), სუფთა	1,363	(1,172)

10. სხვა შემოსავალი, წმინდა

	2017	2016
სხვა შემოსავალი		
ქოლ-ცენტრის სერვისის შემოსავალი*	1,854	2,296
სხვა შემოსავალი	90	142
	1,944	2,438
სხვა ხარჯები		
ქოლ-ცენტრის სერვისის ხარჯები*	(1,696)	(2,108)
ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების გაცემით მიღებული ზარალი	(128)	(62)
სხვა ხარჯები	(100)	(265)
	(1,924)	(2,435)
სხვა შემოსავლები, წმინდა	20	3

*ქოლ-ცენტრის სერვისების შემოსავალი/ხარჯები წარმოადგენენ ყაზახეთსა და რუსეთში გადასახად თანხას შვილობილი კომპანიებისთვის რუსეთის ფედერაციასა და ყაზახეთში სატელეფონო ქოლ-ცენტრით გაწეული სერვისისთვის, რომლებიც იმავე ტიპის პროდუქტს მთელს რუსეთის ფედერაციაში (eZaem.ru/Moneza.ru) და ყაზახეთში ყიდნიან.

11. საოპერაციო ხარჯები

	2017	2016
პერსონალის ხარჯები	(2,606)	(2,626)
სესხის დაფარვის სერვისის გადასახადი	(981)	(900)
სარეკლამო ხარჯები	(945)	(6,020)
საკონსულტაციო ხარჯები	(696)	(945)
ქირა	(373)	(296)
საკრედიტო რეიტინგის სააგენტოს მომსახურების საფასური	(244)	(331)
ცვეთა და ამორტიზაცია	(199)	(220)
საფოსტო ხარჯები	(177)	(287)
საკომუნიკაციო ხარჯები	(70)	(148)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(32)	(45)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(350)	(452)
ჯამური საოპერაციო ხარჯები	(6,673)	(12,270)

12. წინასწარ გადახდილი ჩამოწერილი ქირა

2016 წლის ბოლოს, კომპანია გეგმავდა ახალ ოფისში გადასვლას. ამ მიზნით, კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება შპს "Expo Georgia"- სთან და წინასწარ გადაიხადა 7 თვის გადასახადი, ჯამში 597 ლარი. საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოცხადების შემდეგ, რომელიც მოცემულია შენიშვნა 1-ში, კომპანიამ გადააფასა თავისი სამომავლო გეგმები და უარი თქვა უფრო დიდ ოფისში გადასვლაზე. თუმცა, ქირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, წინასწარ გადახდილი თანხა არ დაბრუნებულა. მენეჯმენტმა უკვე წარადგინა საჩივარი და გადადგა აქტიური ნაბიჯები თანხის უკან მისაღებად. ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს თანხა აღიაროს, როგორც ხარჯი მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

მთარგმნელობითი კომპანია
Translation Company
TranslateService
მობ./Mob.: +995 561 38 55 77
ოფისის ტელ./Office Tel.: +995 (32) 299 03 77
ელ.ფოსტა/E-mail: contact@translateservice.ge
ვებ-გვერდი/Web-site: www.translateservice.ge

მთაი
გუგუშვილი

13. ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ნაღდი ფული ბანკში	682	443
საინკასაციო ნაღდი ფული*	593	1,079
ჯამური ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები	1,275	1,522

* საინკასაციო ნაღდი ფული შემოტანილია მომხმარებლების მიერ გადახდის ტერმინალებით გადახდილი თანხებიდან, რომლებიც მოგვიანებით გადაირიცხა კომპანიაზე პროვიდერის მიერ.

ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტების ვალუტაში გადანაწილება განმარტებულია 22-ე შენიშვნაში.

14. სესხები მომხმარებლებისთვის

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სესხები მომხმარებლებისთვის	9,385	16,238
დაგროვილი საკომისიო	11	68
სესხები მომხმარებლებისთვის ცვეთამდე	9,396	16,306
ნაკლები: გაუფასურებით მიღებული დანაკარგების ანაზღაურება	(8,305)	(10,313)
ჯამური სესხები მომხმარებლებისთვის	1,091	5,993

2015 წლის აგვისტოში, კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულება დედობილ კომპანიასთან, უფლებების გადაცემის შესახებ, რომლის საფუძველზეც გაცემული ყველა სესხი თავდაპირველად გადაიღებოდა Twino Latvia-ზე. 30 დღეზე გადაცილებულ გადაცემულ სესხებს კომპანია ისევ ყიდულობს, ფასდაკლებული ღირებულებით. ვინაიდან აღნიშნული სესხები ვადაგასული და გაუფასურებულია, საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ნაღდი ფულის საფუძველზე. დარიცხული საკომისიო მხოლოდ ეხება ისეთ სესხებს, რომლებიც გაცემულია გადაცემის ხელშეკრულების გაფორმებამდე. ამიტომაც, აღნიშნული სესხების საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დარიცხვის საფუძველზე.

მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ, რომელიც გაცემულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გადაცემული სესხები 2017	გაუფასურების რეზერვი	სესხები რეზერვის გამოკლებით	გაუფასურების რეზერვი გაცემული სესხებისთვის	
არა-ვადაგადაცილებული და არაგადავადებული	8	-	8	0.00%	
გადავადებული, მაგრამ არა ვადაგადაცილებული	36	-	36	0.00%	
ვადაგადაცილება:					
30 დღემდე	27	-	27	0.00%	
31-დან 60 დღემდე	310	(173)	137	55.81%	
61-დან 90 დღემდე	260	(186)	74	71.54%	
91-დან 120 დღემდე	233	(202)	31	86.70%	
121-დან 150 დღემდე	322	(274)	48	85.09%	
151-დან 180 დღემდე	213	(169)	44	79.34%	
181-დან 270 დღემდე	779	(671)	108	86.14%	
271-დან 360 დღემდე	3,402	(3,008)	394	88.42%	
360 დღეზე მეტი	3,806	(3,622)	184	95.17%	
მილიანი ჯგუფურად შეფასებული სესხები	9,396	(8,305)	1,091	88.39%	

14. სესხები მომხმარებლებისთვის

მომდევნო ცხრილი გვაწვდის ინფორმაციას 2016 წლის 31 დეკემბერს გადაუხდელი სესხების საკრედიტო მდგომარეობაზე.

	საერთო სესხები 2016		რეზერვი ჩამოწერისას	წმინდა სესხ	ჩამოწერილი მილიანი სესხების უზრუნველყოფა
არა-ვადაგადასული და არა-ვადაგადაწეული	32	(1)	31		3.13%
ვადაგადაწეული არა-ვადაგადაცილებული ვადაგასული:	106	(3)	103		2.83%
30 დღემდე	59	(6)	53		10.17%
31 -დან 60 დღემდე	2,327	(857)	1,470		36.83%
61-დან 90 დღემდე	2,069	(1,062)	1,007		51.33%
91-დან 120 დღემდე	1,770	(1,026)	744		57.97%
121-დან 150 დღემდე	1,569	(976)	593		62.21%
151-დან 180 დღემდე	1,567	(1,035)	532		66.05%
181-დან 270 დღემდე	3,959	(2,952)	1,007		74.56%
271-დან 360 დღემდე	1,459	(1,204)	255		82.52%
360 დღეზე მეტი	1,389	(1,191)	198		85.75%
ერთად ჯამში დარიცხული სესხები	16,306	(10,313)	5,993		63.25%

ჩამოწერილი სესხის რეზერვებში ცვლილებები გამოიყურება შემდეგნაირად:

	2017	2016
ბალანსი წელიწადის დასაწყისში	10,313	918
წლის მანძილზე აღიარებული, ჩამოწერილი ზარალი	18,097	10,524
რესტრუქტურირებული და გაყიდული სესხის პორტფელი	(20,105)	(1,129)
ბალანსი წელიწადის ბოლოს	8,305	10,313

15. მშობელ კომპანიას მიწერილი სესხები

2015 წლიდან, კომპანიამ გადასცა (მიყიდა) ყველა კლიენტზე გაცემული სესხი დედობილ კომპანიას. კომპანიამ შეაფასა, თუ რამდენად გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი დედობილ კომპანიაზე სესხების გადაცემით. გადაცემის ხელშეკრულების შესაბამისად, გადამცემი (კომპანია) უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, თავიდან შეისყიდოს მოთხოვნა (კლიენტების სესხები) მიმღებისგან და მიმღები უარს ამბობს პრეტენზიის ან საჩივრის გაცხადებაზე აღნიშნულის მიმართებით. კომპანია თავიდან შეისყიდის შეუსრულებად 30 დღეზე ვადაგადაცილებულ სესხებს კონკურენტულ ფასად. ზემოთ მოცემულზე დაყრდნობით, სესხის გადაცემის დროს, მესამე მხარეზე გაცემულ სესხებზე აღიარება უქმდება და დედობილ კომპანიაზე გადაცემული სესხები დაუყოვნებლივ აღიარებულია.

16. სხვა აქტივები

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
სხვა ფინანსური აქტივები		
ქოლ-ცენტრის სერვისი	775	621
გაყიდული სესხების საავანსოები	665	226
მშობელი კომპანია	160	-
შეცდომით გადარაიხებული ნაღდი ფული*	77	-
სხვა დებიტორული დავალიანება	1,802	902
სხვა არაფინანსური აქტივები		
წინასწარ გაწეული ხარჯები	-	504
სხვა	11	54
	11	558
სხვა აქტივები ჯამში	1,813	1,460

* როდესაც კლიენტი იღებს სესხს, მისი პერსონალური მონაცემები ინახება ორგანიზაციის სესხის პროგრამაში. ამიტომ ის არ არის ვალდებული, სხვა დროს ხელახლა შეავსოს იგივე ფორმა. თუკი კლიენტი სესხს ხელახლა იღებს, თანხა ირიცხება მის საბანკო ანგარიშზე, რომელიც ადრე იყო მითითებული და შენახული. ზოგჯერ მსგავსი ანგარიშების მოქმედების ვადა იწურება და ბანკი კომპანიას თანხას დაუბრუნებს. სხვა მხარეებზე არასწორად გადახდილი თანხა, ძირითადად, მოიცავს თანხას, რომელიც გადაირიცხა უკვე ვადაგასულ ანგარიშებზე, თუმცა ჯერ არ დაბრუნებულა 2017-2016 წლების 31 დეკემბერს.

17. ქონება და მოწყობილობები

ისტორიული ფასი

	კომპიუტერები და სხვა	ავეჯი და	
	ტექნიკური აღჭურვილობა	ინვენტარი	ჯამი
2015 წელი 31 დეკემბერი	333	103	436
დამატებები	578	229	807
გაცემული	(18)	(28)	(46)
2016 წელი 31 დეკემბერი	893	304	1,197
დამატებები	55	-	55
რეალიზება	(173)	(141)	(314)
2017 წელი 31 დეკემბერი	775	163	938
აკუმულირებული ცვთა			
2015 წელი 31 დეკემბერი	(30)	(6)	(36)
ცვთის საფასური	(141)	(65)	(206)
რეალიზება	3	-	3
2016 წელი 31 დეკემბერი	(168)	(71)	(239)
ცვთის საფასური	(142)	(45)	(187)
რეალიზება	61	44	105
2017 წელი 31 დეკემბერი	(249)	(72)	(321)
სუფთა საბალანსო ღირებულება			
2016 წელი 31 დეკემბერი	725	233	958
2017 წელი 31 დეკემბერი	526	91	617



მთარგმნელობითი კომპანია

18. დაბეგვრა

საგადასახადო სისტემის სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მოცემულია შენიშვნა 3-ში, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადახდო ზაზას შორის განსხვავება არ არის, რაც შედეგად იწვევს გადავადებულ საგადახდო აქტივებს ან გადავადებულ საგადახდო ვალდებულებებს. ამიტომაც, წინა წლის გადავადებული საგადახდო აქტივი, 1,537 ლარის ღირებულებით, მთლიანად ჩამოიწერა მიმდინარე წელს:

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	(484)
ეფექტის დროებითი სხვაობა	(1537)	1,380
მოგების გადასახადი (დანახარჯი)/სარგებელი	1,537	896

19. სესხები

19. სესხები				2017 წელი	31 დეკემბერი	2016 წელი	31 დეკემბერი
	ვალუტა	კურსი	ვადა	პირვანდელი სესხები	დაგროვილი სესხები	პირვანდელი სესხები	დაგროვილი სესხები
სესხები ასოცირებული პირებიდან	EUR	15%	21 ივნისი 2017	—	—	15,820	41
არასოცირებული პირებიდან	EUR	12%	მოთხოვნით	500	3	251	180
სესხები ჯამში				500	3	16,071	221


ფინანსური აქტივობებიდან გამომდინარე ცვლილებები სესხებში, მათ შორის ნაღდი და უნაღდო ფულადი ბრუნვის ცვლილებებიდან გამომდინარე, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017
წლის დასაწყისში	16,292
ფულადი ბრუნვა	
უნაღდო ფულადი ბრუნვა:	887
დარიცხული პროცენტი პერიოდში	(824)
უცხოურ გაცვლით კურსის სხვაობა	46
სხვა	503
წელიწადის დასასრულს	17,804

20. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
	2017	2016
მშობელი კომპანია	20,104	-
სესხზე მიღებული საავანსოები	1,126	1,001
შეცდომით დარიცხული თანხა	667	149
ზედმეტად გადახდილი თანხა	629	395
მარკეტინგული მომსახურება	41	1,271
სხვები	134	1,103
სხვა ჯამური ვალდებულებები	22,701	3,919

* ინფორმაცია მოცემულია მე-15 შენიშვნაში ზემოთ.



გაბრიელ

შპს „TWINO“

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდზე, რომელიც სრულდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

21. ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ხარჯები

სასამართლო პროცესი - ჩვეული საქმიანობის ფარგლებში, კომპანიები ხშირად ზღვრიან იურიდიული მოქმედებისა და საჩივრების საგანი. კომპანიის კლიენტების მიერ სესხის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, კომპანია ერთვება იურიდიულ დავებში მსგავსი კლიენტების წინააღმდეგ. უმაღლესი შესაძლო შედეგი მსგავსი იურიდიული დავიდან არის აღნიშნული კლიენტებიდან სესხის თანხის მიღება (დარიცხული პროცენტისა და სხვა მოსაკრებლის ჩათვლით). ვინაიდან გაურკვეველია, თუ რამდენად შეასრულებს ყველა კლიენტი საგადახდო ვალდებულებებს, კომპანია აღიარებს მსგავსი სესხების გაუფასურების დებულებას, როგორც ეს მოცემულია შენიშვნა 14-ში.

გადასახადები - საქართველოს საგადახდო კანონმდებლობამ შესაძლოა ზიანი მისცეს სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს. ამასთანავე, ვინაიდან მენეჯმენტის ინტერპრეტაცია საგადახდო კანონმდებლობის მიმართ შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადახდო ორგანოების ინტერპრეტაციებიდან, ტრანზაქციები შესაძლოა შეფერხდეს საგადახდო ორგანოების მიერ და გამოიწვიოს კომპანიისთვის დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და პროცენტის დაწესება. კომპანია მიიჩნევს, რომ მან უკვე განახორციელა ყველა საგადახდო გადახდა და დარიცხვა თავის ფინანსურ ანგარიშებში. საგადახდო წლები ღია რჩება, საგადახდო ორგანოების მიერ განსახილველად სამი წლის მანძილზე.

საქართველოს ბიზნეს გარემო - კომპანია მოქმედებს საქართველოში. შესაბამისად, კომპანია წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკასა და ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც გამოხატავს ფორმირებადი ბაზრის მახასიათებლებს. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები განვითარების პროცესში არიან, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც სხვა იურიდიულ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, ხელს უწყობენ გამოწვევების გადაჭრას, რომლის წინაშე საქართველოში მოქმედი ერთეულები დგანან. ფინანსური ანგარიშგება გამოხატავს მენეჯმენტის შეფასებას საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენაზე კომპანიის ოპერაციებისა და ფინანსური სტატუსის მიმართებით. სამომავლო ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებიდან.

22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მენეჯმენტი

როგორც ფინანსური ინსტიტუტი, კომპანია გარკვეული რისკების ქვეშაა, რომლებიც წარმოიშობა ფინანსური ინსტიტუტების გამოყენების შემდეგ. ეს პუნქტი აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკას და პროცესებს აღნიშნული რისკების სამართავად და მათ გასაზომად გამოყენებულ მეთოდებს. უფრო მეტი რაოდენობრივი ინფორმაცია აღნიშნულ რისკებთან მიმართებით წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშებში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ლიკვიდურია ან აქვთ დაფარვის მოკლევადიანი ხანგრძლივობა, ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება დაახლოებით შეესაბამება სამართლიან ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკები და პროცესები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკების განსაზღვრაზე, და ის იტოვებს საბოლოო პასუხისმგებლობას, თუმცა კომპანიამ მოახდინა უფლებამოსილების დელეგირება კომპანიის ფინანსურ ფუნქციაზე, მიზნებისა და პოლიტიკების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით პროცესების დაგეგმვისა და მოქმედების მიმართებით.

მენეჯმენტის საერთო მიზანია გვეგის წარდგენა რისკების მაქსიმალურად შესამცირებლად, კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე გადაჭარბებული გავლენის გარეშე. აღნიშნული პოლიტიკების შესახებ უფრო მეტი დეტალები მოცემულია ქვემოთ. თავისი ოპერაციებით, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი



მთარგმნელობითი კომპანია

22. ფინანსური ინსტრუმენტები- რისკ-მენეჯმენტი

ფინანსური ვალდებულებები ლიკვიდურობა 2016 წლის 31 დეკემბრისთვის შემდეგია:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 3 წლამდე	ჯამში
სესხები	3,594	-	12,698	16,292
ჯამური საპროცენტო ფინანსური ვალდებულებები	3,594	-	12,698	16,292
სხვა ვალდებულებები	3,733	186	-	3,919
ჯამური ფინანსური ვალდებულებები	7,327	186	12,698	20,211

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება დაიკლებს საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. საბაზრო რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საპროცენტო და უცხოური ვალუტის ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობისას. ეს არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები არამყარი იქნება, უცხოური გაცვლითი კურსის (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) ცვლილებების გამო.

- სავალუტო რისკი

სავალუტო კურსი განმარტებულია როგორც რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იქნება არამყარი უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანია მგრძნობიარეა უპირატესი უცხოური სავალუტო კურსის მერყეობისადმი, ფინანსური სტატუსისა და ფულადი ნაკადების მიმართებით.

ფინანსური აქტივები	GEL	USD	EUR	RUR
ნაღდი ფული და				
მისი ეკვივალენტები	1,275	-	-	-
სამომხმარებლო სესხები	1,091	-	-	-
სხვა აქტივები	968	7	670	157
ჯამური ფინანსური აქტივები	3,334	7	670	157
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	-	-	503	-
სხვა ვალდებულებები	21,889	-	812	-
ჯამური ფინანსური ვალდებულებები	21,889	-	1,315	-

დია საბალანსო მდგომარეობა	(18,555) 7	(645)	157	
კომპანიის დამოკიდებულება გაცვლითი ვალუტის კურსზე 2016 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდგომ ცხრილში:				
ფინანსური აქტივები	GEL	USD	EUR	RUR
ნაღდი ფული და				
მისი ეკვივალენტები	1,522	-	-	
სამომხმარებლო სესხები	5,993	-	-	
მშობელ კომპანიაზე მიწერილი				
სესხები	5,943			
სხვა აქტივები	281	-	-	621
ჯამური ფინანსური აქტივები	13,739	-	-	621
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	-		16,292	
სხვა ვალდებულებები	3,096	42	781	
ჯამური ფინანსური				
ვალდებულებები	3,096	42	17,073	-
დია საბალანსო მდგომარეობა	10,643	(42)	(17,073)	621

მთარგმნელობითი კომპანია
Translation Company
 TranslateService
 მობ./Mob.: +995 565 30 55 77
 ოფისის ტელ./Office Tel.: +995 (32) 299 05 77
 ელ.ფოსტა/E-mail: contact@translate-service.ge
 ვებ-გვერდი/Web-site: www.translate-service.ge

მ. გ. გიგინეიძე

22. ფინანსური ინსტრუმენტები- რისკ-მენეჯმენტი

მომდევნო ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსის 20%-იანი მატებისა და კლების მიმართებით ქართულ ლართან შედარებით და წარმოადგენს უცხოური სავალუტო გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილების შეფასებას მენეჯმენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს ფულად სახსრებს, რომელიც გამოცემულია მხოლოდ უცხოურ ვალუტაში და წლის ბოლოს ახდენს მისი ერთი ვალუტიდან მეორეში გადატანის კორექტირებას უცხოური სავალუტო კურსის 20%-იანი ცვლილების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებებზე დაფუძნებით, მთლიანი შემოსავლისა და კაპიტალის გავლენა ანგარიშზე, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	(GEL/USD)		(GEL/EUR)		(GEL/RUR)	
	2017	2016	2017	2016	2017	2016
საბაზრო						
ვალუტის						
კურსის						
ცვალბადობის						
ზეგავლენა						
20% მატება	1	(8)	(129)	(3,415)	31	124
20% კლება	(1)	8	129	3,415	(31)	(124)

ანალიზი აფასებს ყველა დასაშვებ ცვალბადობას, კერძოდ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც რჩება მუდმივი.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილებებიდან, რამაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებზე. ეს რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადის შეუსაბამობებიდან, ასევე, მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებების მახასიათებლების გადაფასებიდან.

კომპანიის პროცენტის მატარებელი ყველა აქტივი და ვალდებულება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზეა, ამიტომაც, საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები არ მოახდენს გავლენას კომპანიის შემოსავალზე ან ხარჯებზე.

საპროცენტო განაკვეთიანი ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ლიკვიდურობის რისკის რაოდენობრივ მონაცემებში ზემოთ.

23. კაპიტალის მართვა

კაპიტალის შენარჩუნების დროს, კომპანიის მიზნებია:

- კომპანიის დაცვა, რომ გააგრძელოს თავისი საქმიანობა, ისე რომ შეძლოს შესაბამისად ფუნქციონირება; და
- აქციონერებისთვის შესაბამისი მოგების უზრუნველყოფა;

კომპანია ადგენს თუ კაპიტალის რა თანხა სჭირდება რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური პირობების ცვლილებებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების შესაბამისად.

კაპიტალის სტრუქტურის შესანარჩუნებლად ან შესასწორებლად, კომპანიას შეუძლია აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების, აქციონერების კაპიტალის მოგების თანხის კორექტირება ან აქტივების გაყიდვა ვალის შესამცირებლად.

შპს "TWINO"

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდით, რომელიც მთავრდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

24. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

აფილირებული მხარეები ან აფილირებულ მხარეებთან ტრანზაქციები, როგორც ეს განსაზღვრულია IAS 24-ში "აფილირებული მხარის ინფორმაციის გამჟღავნება", შესაძლოა იყოს შემდეგში ჩამოთვლილიდან ერთი ან მეტი:

ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან რამდენიმე შუამავლის საშუალებით, აკონტროლებენ ან კონტროლდებიან ან კომპანიასთან ერთად საერთო კონტროლს ექვემდებარებიან (ეს მოიცავს მშობელ, შვილობილ კომპანიებს და ერთი მშობელი კომპანიის სხვა შვილობილ კომპანიებს); რომლებსაც აქვთ ინტერესი კომპანიაში, რაც იძლევა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენის საშუალებას; და რომლებიც ფლობენ კომპანიის საერთო კონტროლს;

ბ) კომპანიის ან მისი დედობილი კომპანიის ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის წევრები;

გ) (ა) და (ბ)-ში მოცემული ინდივიდების ოჯახის ახლო წევრები;

დ) მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ კონტროლირებად ერთეულებს, საერთო კონტროლირებად ერთეულებს ან მნიშვნელოვნად გავლენის ქვეშ არიან, ან ისეთი ერთეულები, სადაც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის ძალაუფლებას, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფლობენ (გ)-ში ან (დ)-ში მითითებული ინდივიდები.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება მიპყრობილია ურთიერთობების ხასიათზე, და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე. კომპანიასა და სხვა დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციების შესახებ დეტალები მოცემულია ქვემოთ.

	მეწილეები	საერთო კონტროლში არსებული ორგანიზაცია	სხვა მხარეები	მთავარი მენეჯმენტის პერსონალი
ფინანსური				
მდგომარეობა				
ფინანსური				
მდგომარეობის				
პოზიცია				
მშობელ კომპანიას		-		
მიწერილი სესხები		-		
სხვა აქტივები	160	755		
სხვა ვალდებულებები	20,104	-	1,097	
სრული შემოსავალი				
ფინანსური ხარჯები	(846)			
საშემოსავლო გადასახადი				
სესხის მენეჯმენტზე	4,569			
სხვა შემოსავალი, სუფთა	75	1,854		
ოპერაციის ხარჯები	(430)			(281)

მთარგმნელობითი კომპანია
Translation Company
შპს TranslateService
მობ./Mob.: +995 565 31 55 77
ოფისის ტელ./Office Tel.: +995 (32) 299 05 77
ელ.ფოსტა/E-mail: contact@translateservice.ge
ვებ-გვერდი/Web-site: www.translateservice.ge

მაია თევზაძე

აფილირებულ მხარეთა ბალანსი და ტრანზაქციები 2017 წლის ბოლოს, 31 დეკემბერს:

ფინანსური მდგომარეობა	მეწილეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირი	მთავარი მენეჯმენტის პერსონალი
ფინანსური მდგომარეობა			
მშობელ კომპანიას მიწერილი სესხები	5,943	-	
სხვა აქტივები		621	
სესხები	15,861		
სრული შემოსავალი			
ფინანსური ხარჯები	(3,320)		
საშემოსავლო გადასახადი			
სესხის მენეჯმენტზე	14,918		
სხვა შემოსავალი, სუფთა		2,296	
ოპერაციის ხარჯები			(559)

შპს "TWINO"

ფინანსური ანგარიშების შენიშვნები

წლის პერიოდით, რომელიც მთავრდება 2017 წლის 31 დეკემბერს

(ათასობით ქართული ლარი)

25. ანგარიშების პერიოდის შემდგომი მოვლენები

საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებები

2018 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები ისევ შევიდა ძალაში, რომლის მიხედვით საკრედიტო ტრანზაქციების მაქსიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს წლიურად (მანამდე, განსაზღვრული იყო 100% წლიურად, როგორც ეს მოცემულია შენიშვნა 1-ში).

ახალ საკანონმდებლო გარემოსთან ადაპტირებისა და საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით, კომპანიამ შეცვალა საკრედიტო პოლიტიკა ისე, რომ ახალი სესხები გაიცემა მხოლოდ ძველ კლიენტებზე, რომელთაც დადებითი საკრედიტო ისტორია აქვთ.



მთავარი მენეჯერი

ორიათას თვრამეტი წლის ოცდაცხრა ნოემბერი. მე, ოთარ ცისკარაშვილს ნოტარიუსს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის გამზ. №154, სართული №3, ოფისი №302, მომმართა მაია გუგუშვილმა (დაბადებული: 24.11.1981წ. სენაკში რეგ. მისამართი: ქ. რუსთავი ტაშკენტის ქ. კორ. 5 ბ. 124, პირადი №39001006487). ინგლისური ენის დიპლომირებულმა მთარგმნელმა (დიპლომი № BCA 0403950, გაც. 17.02.2007 წ. ქ. მოსკოვის ბიზნეს-მართვის საერთაშორისო აკადემიის უცხო ენათა ინსტიტუტის მიერ), მან წარმოადგინა დოკუმენტი მისივე თარგმანთან ერთად და მოითხოვა თარგმანზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება. მე, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, ნების გამოვლენის ნამდვილობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა,

On the day of November 29th of two thousand and eighteen, to me, Otar Tsiskarashvili, the notary, whose notarial bureau is located at: Tbilisi, D. Aghmashenebeli ave 154, Floor 3, Office 302, addressed **Maia Gugushvili** (date of birth 24.11.1981, place of birth: Senaki, ID card 13IF42966, Personal #39001006487, date of expiry: 08.08.2024 issued by Ministry of Justice) the English language **qualified translator** (Diploma # BCA 0403950 issued by Institute of Foreign Languages of Moscow International Academy of Business and Management) she represented the document with its translation and asked to authenticate her own signature on it. I checked her capability and assured in the truth of her willingness.

მე, ნოტარიუსმა მთარგმნელი გავაფრთხილე იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს. ამასთან მხარეს განვუმარტე, რომ დოკუმენტის შინაარსზე, მის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე, ხელმოწერის ნების არაადეკვატური ასახვის გამო და სამართლებრივ შედეგებზე მე, ნოტარიუსი ოთარ ცისკარაშვილი პასუხს არ ვაგებ და ვამოწმებ მხოლოდ დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის ნამდვილობას დამოწმებულია შესრულებულ თარგმანზე სულ 32 ხელმოწერის ნამდვილობა.

I, the notary public, warned the translator about the responsibility that may arise in case of inaccurate translation. Herewith, I, the notary public, Otar Tsiskarashvili, explained that I am not responsible for the content of the document and its compliance with the legislation, as well as for the inadequate reflection of the will of the signatory and for the legal consequences. I only verify the authenticity of the signature of the certified translator on appropriate pages of the represented translated document. Authenticity of 32 signature(s) is verified.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილება №507 29.12.2011წ. "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" მუხლი 31 პ.3) 60 ლარი, მუხლი 39 პ.1) 64 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღე 11.52 ლარი, სულ 77 ლარი და 52 თეთრი.

Notary fee is paid in accordance with the resolution of Georgian government # 507 dated 29.12.2011 "on approval of the fee for provision of the notarial services and amount of fee, its payment procedures and terms for the service provision for the Notary Chamber of Georgia, its payment rules and service term" Article 31, Item (3) 64 GEL; Article 39, Item (1) 2 GEL; as per the Georgian Tax Code, Article 169 - the VAT of 11.52 GEL; total of 77 GEL and 52 Tetri.

The Notary Public
ნოტარიუსი



Otar Tsiskarashvili
ოთარ ცისკარაშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N181452091



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.11.2018 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ოთარ ცისკარაშვილი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №154, სართული №3,
ოფისი №302

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

(+995) 595508600

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

07796364775218



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-
გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18